

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მიდია რიგი

შეჯიბრებითობის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის  
პრინციპის, რეალიზების პრობლემები გამოძიების  
სტადიაზე

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა  
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი სერგო ჭელიძე

თბილისი 2019

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის - შეჯიბრებითობის რეალიზების პრობლემები გამოძიების სტადიაზე.

შეჯიბრებითობა, ამ ფორმით და მასშტაბებით, სიახლეა ქართულ კანონმდებლობაში. პირველად კანონის ტექსტში გვხვდება 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლში. 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულმა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა კი დახვეწა სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი სისტემა. ბრალდების და დაცვის მხარეს მიენიჭა შესაძლებლობა, აწარმოონ გამოძიება დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ მოიპოვონ მტკიცებულებები და წარადგინონ ისინი სასამართლოში.

აღნიშნულმა სიახლემ წარმოშვა ბევრი ახალი საკითხის დამუშავებისა და შესწავლის საჭიროება, რადგან პრინციპის არსი მხარეებს შორის შეჯიბრებაზე დგას და საჭიროებს, რომ მხარეები თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში იყვნენ არა მარტო თეორიულად, არამედ ფაქტობრივადაც. პრინციპის ეფექტური განხორციელებისთვის საჭიროა, მათ არ ექმნებოდეთ დაბრკოლება მტკიცებულების მოპოვებისას.

კანონმდებლობაში ბევრი ისეთი დებულებაა, რომელიც ზღუდავს რომელიმე მხარის, ხშირად კი - დაცვის მხარის უფლებას, მოახდინოს საკუთარი ინტერესების რეალიზება. თუ კანონმდებელი ზღუდავს დაცვის მხარის უფლებას გარკვეული მტკიცებულების მოსაპოვებლად, იქვე აძლევს მას სხვა უფლებას, რის მეშვეობითაც თითქოს ავსებს იმ უთანასწორობის ნაპრალს, რომელიც ჩნდება. მაგრამ ისმება კითხვა: არის თუ არა რეალურად ეს ასე?

იმისათვის, რომ ამ კითხვებზე მივიღოთ პასუხები, საჭიროა იმ ნორმების დეტალური კვლევა, სადაც გვხვდება აღნიშნული საკითხები.

აქვე უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის მოცულობა იმდენად დიდია, რომ მისი ყოველმხრივი კვლევა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ, ნაშრომში წარმოდგენილია ამ პრინციპის გამოვლინებანი მხოლოდ

გამოძიების სტადიაზე, სადაც ვხვდებით პრინციპის სადაო საკითხებს, ვინაიდან სასამართლო განხილვის დროს მხარეები იმყოფებიან შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების მწვერვალზე, სადაც მათ მართლაც თანაბარი უფლებები აქვთ, დაიცვან საკუთარი პოზიცია.

ნაშრომში განხილულია ნორმები, სამართლებრივი ბაზა, რომელიც ქმნის შეჯიბრებითობის წინაპირობებს, სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები, ამერიკისა და რუსეთის მაგალითზე გაკეთებული პარალელები და შედარებითი ანალიზი, სასამართლო გადაწყვეტილებები, მხარეთა უთანასწორობის მიზეზების პოვნის და მათი გამოსწორების მცდელობა. ეს იქნება ერთგვარი რეკომენდაციები სამართლიანი გამოძიების წარმოებისათვის.

ნაშრომში ცალკე თავებადაა წარმოდგენილი შეჯიბრებითი პრინციპისა და პროცესის არსი, ისტორიული განვითარება და ბოლოს, თანამედროვე პრობლემების ანალიზი, რომელიც, შიგადაშიგ, შეიცავს ავტორისეულ მოსაზრებებს, როგორ შეიძლება მხარეებს შორის არსებული უფლებრივი სხვაობის შემცირება. შემცირება იმიტომ, რომ დანაშაულობის ბუნება, გამოძიების არსი და სხვა ფაქტორები არ იძლევა შესაძლებლობას, რისკების გარეშე მოხდეს მხარეების აბსოლუტური გათანაბრება.

## **Annotation**

The work deals with one of the principles of criminal law – realization problems of the adversarial principle at the stage of investigation.

Adversary, as one of the basic principles of criminal law, is a novation in Georgian legislation. For the first time in the text of the law is found in the fifteenth article of the 1998 Criminal Procedure Code. The New Criminal Procedure Code adopted on 9 October 2009 has been refurbished by the Criminal Procedure Adversarial System. The prosecution and defense side has been granted the opportunity to conduct an investigation independently, to find out the evidences and submit them to the court.

The novelty generated a need to develop and study many new issues, since the essence of the principle is on competition between the parties and requires that the parties be in equal conditions not only theoretically but also as factual. In order to effectively implement the principle, the parties are not obliged to encounter evidence when it comes to evidences.

There are many provisions in the legislation which restrict the right of one party, usually the right of the defense to realize their interests. If the legislator restricts the right of the defense to gain some evidence, it gives another right to the extent that it fills the inequality that appears, but is it really true?

To answer these questions, there is a need for a detailed study of the norms where these issues are mentioned.

It should be said that the amount of adversarial principle is so large that its comprehensive research requires a lot of effort. Therefore, the paper emphasizes the expression of this principle only at the stage of investigations, because at the court the as the parties are at the peak of the adversarial principle where they have equal rights to defend their position.

The paper deals with the norms, the legal framework that creates adversarial prejudices, opinions of different researchers, parallels made on American and Russian examples, and comparative analysis, judicial decisions, attempts to find the reasons for

the inequality of the parties and to correct them. It will be some kind of recommendations for fair investigation process.

The essence of the adversarial system and the essence of the process, historical development, and finally the analysis of modern problems presented in the paper, which contains the author's opinions, how to reduce the difference between the parties. Reduction because of the nature, the essence of the investigation, and other factors do not allow the risk to be equal to the absolute equilibrium of the parties.

## შინაარსი

ანოტაცია.....	2
Annotation.....	4
შესავალი.....	7
<b>თავი 1. შეჯიბრებითობის პრინციპის ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესში.....</b>	<b>10</b>
1.1 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა.....	10
1.2 გამოძიება და შეჯიბრებითობის პრინციპი.....	14
1.3 სასამართლო, როგორც თანასწორობის გარანტი.....	16
<b>თავი 2. შეჯიბრებითი სისტემის ისტორიული მიმოხილვა.....</b>	<b>20</b>
2.1 შეჯიბრებითობის ცალკეული ფორმის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებები.....	20
2.2 თანამედროვე შეჯიბრებითი პროცესის ჩამოყალიბება.....	24
2.3 თანამედროვე შეჯიბრებითობის პრინციპი.....	27
<b>თავი 3. შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზების პრობლემები გამოძიების სტადიაზე.....</b>	<b>29</b>
3.1 მოწმის გამოკითხვა და დაკითხვა.....	29
3.2 მტკიცებულების გაცვლა.....	32
3.3 ფარული საგამოძიებო მოქმედებები.....	35
3.4 კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.....	38
3.5 ფინანსური უთანასწორობა.....	42
3.6 ინფორმაცია ბრალდების შესახებ.....	45
3.7 მტკიცებულების გამოთხოვა, ჩხრეკა და ამოღება.....	48
3.8 გამოძიების წარმოება.....	52
3.9 ექსპერტის დასკვნა.....	55
3.10 კერძო დეტექტივი, დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	57
<b>დასკვნა.....</b>	<b>59</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>61</b>

## შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. მხარეს უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. 25-ე მუხლი კი შეჯიბრებითობის მიზნის მისაღწევად ავალდებულებს სასამართლოს, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.<sup>1</sup>

მტკიცებულების მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. ამიტომ, სასამართლოს ეკრძალება, დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულება. შეჯიბრებითობის პროცესში სასამართლოს აქვს შუამავლის ფუნქცია, რომელსაც არ შეუძლია განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე გამოთქვას აზრი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.<sup>2</sup>

შეჯიბრებითობის პრინციპი ქართული სისხლის სამართლის პროცესში 2010 წლიდან დანერგილი სიახლეა, მაგრამ ისტორიის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. საქართველოში ამ პრინციპის ჩანასახებს ფეოდალური ხანიდან მოყოლებული ვხვდებით, თუმცა, ოფიციალური სახე ახლო წარსულში მიიღო და დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მასთან დაკავშირებული პრობლემები და კითხვები, რომლებიც საჭიროებენ კვლევას და დახვეწას.

შეჯიბრებითობის პრინციპს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. **კვლევის მიზანია** ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესწავლა,

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, 2019

<sup>2</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 148

ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების საპროცესო წესების, შეჯიბრებითი ასპექტების შესწავლა. იმ უთანასწორობის ძიება, რაც ვლინდება გამძიების დროს.

რომელიც ახასიათებს შეჯიბრებითობის პრინციპს, განსაკუთრებით გამოძიების სტადიაზე. ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი არის ის, რომ შეჯიბრებითი პროცესის მსვლელობისას სასამართლო ასრულებს მხოლოდ შუამავლის როლს, მას არ შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა და დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულება ჭეშმარიტების დასადგენად. **კვლევის ამოცანაა** არსებული დისბალანსის ნიშნების გამოკვეთა, მიზეზების შესწავლა, სავარაუდო რეკომენდაციების შემუშავება და მათი ანალიზი.

სასამართლოს როლი შემოიფარგლება მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასებით და ამ უკანსაკნელზე დაყრდნობით გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტით განაჩენის გამოტანით, რომელიც სავსებით შესაძლებელია, რომ არ იყოს ჭეშმარიტი. მკვლევარებს შორის სადაო საკითხია ისიც, თუ რამდენადაა გათანაბრებული ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებები გამოძიების სტადიაზე.

ბრალდების მხარეს მტკიცებულების მოსაპოვებლად გაცილებით მეტი რესურსი და შესაძლებლობა აქვს, ვიდრე დაცვის მხარეს. ერთია, მხარეებს მინიჭო თანაბარ საპროცესო უფლებები, მაგრამ რამდენად რეალურია ამის უზრუნველყოფა? ასე, მაგალითად, დაცვის მხარე ვერ ჩაატარებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, ისეთ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც ზღუდავენ კონსტიტუციურ უფლებებს.

გარდა ამისა, მას არ გააჩნია ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლებიც გააჩნია ბრალდების მხარეს. მართალია, დაცვის მხარის უფლებათა აწარმოოს პარალელური გამოძიება ადვოკატის დახმარებით, თუმცა ეს დიდ ძალისხმევას და ფინანსებს მოითხოვს, რაც მას უკვე აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში.

შეჯიბრებითი პროცესი ბალანსში უნდა იყოს არა მხოლოდ სასამართლო პროცესის, არამედ გამოძიების წარმოების დროსაც. ბრალდების მხარეს მოქმედებს ერთი დიდი აპარატი, რომელსაც უამრავი სვლის შესაძლებლობა აქვს,



მეორე მხარეს კი დგას ადვოკატი, რომელიც უპირისპირდება მთელ „საგამოძიებო მანქანას“.

ჩნდება კითხვები: როგორ უნდა იქნეს მიღწეული მხარეების თანასწორობა? როგორია შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზება გამოძიების სტადიაზე? ვის აქვს პრივილეგიები და რატომ? როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემების გადაჭრა? თუ ზოგადად სასამართლო მიისწრაფვის ჭეშმარიტების დადგენისაკენ, მაშინ რა არის შეჯიბრებითი პროცესის მიზანი და როგორ შეიძლება იქნეს მიღწეული?

იმისათვის, რომ ამ საკითხებს უკეთ გავეცნოთ, უნდა დამუშავდეს სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომები. კვლევები შეჯიბრებითობის პრინციპს მიუძღვნა არაერთმა ქართველმა მეცნიერმა: ი. აქუბარდიამ, დ. ბენიძემ, დ. კვაჭანტირაძემ და სხვებმა. აგრეთვე, აუცილებელია, თვალი შევავლოთ უცხოურ ლიტერატურას და გამოვიკვლიოთ ის, თუ როგორ ხდება შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზება სხვადასხვა სამართლებრივად განვითარებულ ქვეყნებში, სადა არის შედარებით უკეთესი მოდელი და რა შეიძლება ვისწავლოთ მათგან. უნდა გამოიკვეთოს პრობლემა და მისი ყოველმხრივი შესწავლის გზით გადაიჭრას.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა **კვლევის მეთოდები**: ანალიზისა და სინთეზის ლოგიკური მეთოდები, დიალექტიკური კვლევის მეთოდი, საკანონმდებლო ნორმების შედარებით კვლევის მეთოდი. დამუშავდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, შესწავლილ იქნა ნორმატიული აქტები.

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში მიზნად ვისახავთ, შევაჯამოთ სხვადასხვა ავტორების მოსაზრებანი, გამოვკვეთოთ შეჯიბრებითობის პრინციპის პრობლემები გამოძიების სტადიაზე და შევეცადოთ, ვიპოვოთ ოქროს კვეთი, სადაც მხარეები მეტნაკლებად თანასწორნი იქნებიან.

# თავი 1. შეჯიბრებითობის პრინციპის ცნება და ადგილი სისხლის სამართლის პროცესში

## 1.1 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი ხასიათდება ორი ერთმანეთზე დაპირისპირებული მხარის არსებობით,<sup>3</sup> მათი პროცესუალური თანასწორობით და მხარეებიდან სასამართლოს დამოუკიდებლობით. შეჯიბრებითობა პროცესში უპირველესად გულისხმობს მხარის უფლებას იყოს „მოსმენილი“.<sup>4</sup> მკვლევართა ნაწილი გამოთქვამს, რომ მხარეთა თანასწორობა გულისხმობს მხოლოდ საპროცესო ასპექტს ანუ მხარეები პროცესუალურად არიან თანაბარნი, აღჭურვილნი არიან თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, გაეცნონ საქმის მასალებს, დააყენონ შუამდგომლობები და აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და ა.შ.<sup>5</sup>

მკვლევარები შეჯერდნენ აზრზე, რომ გამოძიების დროს შეჯიბრებითობის პრინციპის სრული განხორციელება შეუძლებელია, მაშინ, როცა საქმის არსებითი განხილვის დროს პრინციპი დაცულია სრულად. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის განმარტებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე მხარეები იმყოფებიან უფლებრივად თანაბარ პირობებში.

იმისათვის, რომ შეჯიბრებითობა განხორციელდეს, აუცილებელია არსებობდეს ორი მხარე. შესაბამისად, გამოძიების იმ ეტაპზე, როცა არ არის იდენტიფიცირებული დაცვის მხარე, ამ პრინციპის განხორციელება შეუძლებელია. ირღვევა თუ არა ამ დროს დაცვის მხარის უფლება ისარგებლოს თანაბარი პირობით?

<sup>3</sup> სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) რ. გოგშელიძის რედ. მეორე გამოცემა, გამ. „სამართალი“ თბილისი 2009, გვ 149

<sup>4</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 84

<sup>5</sup> სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), რ. გოგშელიძის რედაქტორობით, „სამართალი“, თბ., 2008, გვ. 149-151.

რიგ შემთხვევებში, როცა ბრალდების მხარე უკვე მუშაობს მტკიცებულებების მოსაპოვებლად, დაცვის მხარე ჯერ ინერტულ მდგომარეობაშია, მანამ, ვიდრე არ მოხდება მისი ოფიციალური ბრალდება და არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ მომენტისათვის დაცვის მხარე ახლად ერთვება პროცესების მსვლელობაში, ბრალდების მხარის ხელთ კი არსებობს გარკვეული მტკიცებულებები. აღნიშნული უთანასწორობა გამართლებულია, მისი გამოსწორება შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგებოდა ფაქტის გამოძიების ყოველგვარი ლოგიკური შესაძლებლობა.

სასამართლო წარმოადგენს შუამავალს მხარეებს შორის. გამოძიების ეტაპზე კი სასამართლო არის გარანტი იმისა, რომ ადამიანის უფლებები არ იქნეს შეზღუდული არალეგიტიმურად. ამისათვის ის განიხილავს მხარეების მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს მტკიცებულების მოპოვების თაობაზე და წყვეტს, დააკმაყოფილოს თუ არა ის. სასამართლო ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი საასპარეზო პირობები.

გამოძიების ეტაპზე სსსკ მხარეს ანიჭებს უფლებას აწარმოოს დამოუკიდებელი გამოძიება. სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ ბრალდებულს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით, დამოუკიდებლად ან ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება, ხოლო თუ საჭიროა ისეთი საგამომებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომლის ჩატარება დამოუკიდებლად შეუძლებელია, მხარე უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.<sup>6</sup> ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს რომ ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების შესახებ ინფორმაცია.

საყურადღებოა ისიც, რომ მხარეთა შეჯიბრებითობა ჯერ კიდევ არ გულისხმობს იმას, რომ მხარეებს აქვთ თანაბარი რესურსი. შეჯიბრება შეიძლება განხორციელდეს არათანაბარ პირობებშიც, სწორედ ამიტომ, მიზნის მისაღწევად

---

<sup>6</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 189

კანონმდებელმა მუხლის სათაურის ფორმულირებაში დაურთო ტერმინი თანასწორობა. რეალურად, მხარეები იდენტურად თანასწორები არ არიან.

სსსკ-ის 111-ე მუხლის თანახმად, მხარეებს საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. არსებობს ისეთი საგამომიებო მოქმედებები, რომლებსაც დაცვის მხარე საერთოდ ვერ ჩაატარებს, მაგალითად: დაცვის მხარე ვერ ჩაატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში არსებულ საგამომიებო მოქმედებებს, ოპერატიულ სამმებრო ღონისძიებებს, კომპიუტერული მონაცემთან დაკავშირებულ საგამომიებო მოქმედებებს. იმისათვის, რომ მხარეთა შორის ასეთი განსხვავება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, კანონმდებელი შეზღუდვებთან ერთად დაცვის მხარეს პრივილეგიებსაც განუსაზღვრავს. ასეთებია - უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების ტვირთის დაკისრება ბრალდების მხარეზე, დაუსაბუთებელი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

გამომიების ეტაპზე, დაცვის მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოთხოვოს ბრალდების მხარეს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულებების გაცნობა, ამავდროულად, თუ ის გამოიყენებს ამ უფლებას, ბრალდების მხარესაც უჩნდება ეკვივალენტური უფლება მიიღოს დაცვის მხარისგან მის მიერ მიოივებული მტკიცებულებები. მტკიცებულების გაცვლის ეს ინსტიტუტი შეჯიბრებითი პროცესის განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია.

მხარეს შესაძლებლობა უჩნდება, გამოიკვლიოს მეორე მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, შეისწავლოს, შეამოწმოს, მოამზადოს საპასუხო დოკუმენტაცია. მაგრამ აქაც არის შეზღუდვა ბრალდების მხარის სასარგებლოდ: დაცვის მხარის უფლება მიიღოს ინფორმაცია შეიძლება შეიზღუდოს ოპერატიულ-სამმებრო ღონისძიების ან ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში, წინასასამართლო სხდომამდე. თუ მხარეები აღნიშნულ უფლებას არ გამოიყენებენ, სსსკ ადგენს წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ყველა მტკიცებულების სავალდებულო გაცვლას.

სისხლის სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობა გულისხმობს პირველ რიგში მხარის უფლებას იყოს მოსმენილი და ასევე – სამართალწარმოების წარმართვას დაცვის, ბრალდების და მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციათა გამიჯნვის პრობებში, სადაც სასამართლო ასრულებს მედიატორის როლს, შეზღუდულია მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებით და მისი შინაარსობრივი ჩართულობა საქმის გარემოებების გამორკვევაში მინიმალიზებულია.

შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას - მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე მიუხედავად იმისა, აღნიშნული ეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, საქმის არსებით გარემოებებს თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც პირველ რიგში გულისხმობს როგორც უფლებას, ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე, ამავე მიზნით უფლებას, მტკიცებულების მოპოვებაზე.<sup>7</sup>

შეჯიბრებითობის პრინციპის შესახებ მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

შეჯიბრებითი პროცესის მომხრეთა აზრით<sup>8</sup>, აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას, ვინაიდან ორივე მხარე წარმოადგენს მათ სასარგებლო მტკიცებულებებს, ხოლო მოსამართლე იღებს ინფორმაციას სრულყოფილად და მხოლოდ შემდეგ წყვეტს საკითხს. მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ საპირისპიროს, რომ ჭეშმარიტება არათუ ვლინდება, არამედ პირიქით, იკარგება. პროცესში ყოველ მხარეს თავისი

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება № 1/1/650, 699, 2017 წლის 27 იანვარი;

<sup>8</sup> Values, Ideology, and the Evolution of the Adversary System, Ellen E. Sward, Indiana Law Journal, Spring 1989, P. 316.

„სიმართლე“ აქვს, რის გამოც ისინი საკუთარი პოზიციების შესაბამისად წარადგენენ მტკიცებულებებს.

პრინციპის მომხრეების კიდევ ერთი არგუმენტია Individual Dignity, ღირსების ხელშეუვალობა. მხარეს, თავისი შეხედულებისამებს შეუძლია მოიპოვოს მტკიცებულება და წარადგინოს, ეს აძლევს შანსს დაცვის მხარეს დაიცვას საკუთარი ღირსება. შეჯიბრებითობის პრინციპის დროს მხარე დამოუკიდებელია.

## 1.2 გამოძიება და შეჯიბრებითობის პრინციპი

სასამართლოში საქმე ვერ განიხილება მტკიცებულებების გარეშე, მათი მოპოვება კი გამოძიების სტადიაზე ხდება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია მტკიცებულების მოპოვების წესები, მათი დასაშვებობის პირობები. გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ სსსკ-ით დადგენილი წესით განხორციელებული მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

საქართველოს სსსკ-ის თანახმად მხარეების თანასწორობა და სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი უზრუნველყოფილია წარმოების ყველა სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე, გარდა შემთხვევისა, სანამ გამოძიება მიმდინარეობს დაცვის მხარის გამოვლენამდე.<sup>9</sup>

იმაზე, თუ რა არის გამოძიების მიზანი, ავტორებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ, მაგრამ აღნიშნულ ნაშრომში ამას არ შევეხებით, რადგან ჩვენი ინტერესი არა გამოძიების არსია, არამედ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შეფასება გამოძიების სტადიაზე.

---

<sup>9</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 84

როგორც ვ. მაჭარაშვილი აღნიშნავს თავის კვლევაში, „გამომიება სისხლის სამართლის პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია, ამავდროულად, იგი წარმოადგენს სამართალწარმოების დამოუკიდებელ სტადიას, რომელიც დაფუძნებულია სამართლის პრინციპებზე და გააჩნია საკუთარი შინაგანი სტრუქტურა.“<sup>10</sup>

იმისათვის, რომ შეჯიბრებითი პროცესი შედგეს, საჭიროა მხარეებმა წარადგინონ მტკიცებულებები, რომლებსაც საკუთარი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდების მხარე ატარებს გამოძიებას, როგორც წესი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რაც ნიშნავს რომ გამოძიებელი უნდა იძიებდეს თვით ფაქტის ირგვლივ მტკიცებულებებს, მისი მიზანი უნდა იყოს დაადგინოს ობიექტური რეალობა და არ შეაგროვოს მტკიცებულებები იმდაგვარად, რომ უზნურუნველყოს მხოლოდ მხარის გამტყუნება.

ამისგან განსხვავებით, ადვოკატს და დაცვის მხარეს მთლიანობაში მსგავსი ვალდებულება არ გააჩნია. ადვოკატის ინტერესებში შედის დაიცვას კლიენტის ინტერესები და ამისათვის მას უფლება აქვს თვალი დახუჭოს რეალობაზე, მოიპოვოს მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც გაამართლებს დასაცავს.

საქმის წარმოებისას მხარეების გამიჯვნამ და მათ შორის შეჯიბრებითობის დაწესებით ბრალდების მხარე იმ ეტაპამდე მიიყვანა, რომ უმეტესწილად ცდილობს მოიპოვოს ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო გაამართლებელი - თვით დაცვის მხარის საზრუნავად იქცა.

დაცვის ფუნქციის ეფექტური განხორციელებისთვის, კონტრმტკიცებულების შესაგებებლად და მეორე მხარის პოზიციის უკუსაგდებად აუცილებელია დაცვის მხარეს ჰქონდეს მოიპოვოს იმავე წონისა და მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, როგორც გააჩნია ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარის მიზანია დანაშაულის გახსნა, დანაშაულის ჩამდენი პირის

<sup>10</sup> ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 0192, საქართველო, გვ. 112.

მხილება, სწრაფი გამოძიება, კანონის დაცვის უზრუნველყოფა, მაშინ როცა დაცვის მხარის ერთადერთ მიზანს ბრალდებულის/მსჯავრდებული გამართლება ან სასჯელის შემსუბუქება წარმოადგენს.

არ იქნება უსაფუძვლო იმის ვარაუდი, რომ სწორედ ამგვარი დაცვის პროცესში გამოვლინდება ობიექტური ჭეშმარიტება, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოდავე მხარეები ერთ დონეზე არიან როგორც კვალიფიციურად, ასევე პრაქტიკულად უფლებრივ ჭრილშიც.

### 1.3 სასამართლო როგორც თანასწორობის გარანტი

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს საკითხები, რომლებიც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს თეორიულად თანაბარი უფლებების მქონე მხარეებს. ამისათვის საჭიროდ მივიჩნევთ გამოვიკვლიოთ და მოვიძიოთ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზები.

პრაქტიკაზე დაკვირვებით იკვეთება, რომ ძირითადად მხარეთა თანასწორობის რღვევა გამოძიების ეტაპზე ხდება. სასამართლო განხილვის დროს მხარეების თანასწორობა მაქსიმუმს აღწევს.

შეჯიბრებითობის პრინციპი ქართულ სამართალში 1998 წლის სსსკ-შიც გვხვდება, თუმცა განხორციელება ვერ ხდებოდა. ამის მიზეზი კი ის იყო რომ, მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას, ხშირ შემთხვევაში, გამოძიების მწარმოებელი ორგანო იღებდა.<sup>11</sup> პირველად, სანამ უშუალოდ მხარეებს შევეხებოდეთ, მიინდა აღვნიშნო სასამართლოს როლი.

2009 წელს ამოქმედებულმა სსსკ-მა სასამართლოს ჩამოართვა ყველა ინკვიზიციური უფლება. 2009 წლამდე სასამართლო ერთვებოდა გამოძიების მსვლელობაში და მოიპოვებდა მტკიცებულებებს.

სასამართლოს მიზანი ოდითგანვე სიმართლის დაცვა იყო. სასამართლო არის გარანტი იმისა რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები. შეჯიბრებითი პროცესის დროს სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გამოავლინოს

---

<sup>11</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2007 წლის მდგომარეობით, მუხ. 111;



ქეშმარიტება, ვინაიდან გამოდის მხოლოდ არბიტრის, შუამავლის როლში. მკვლევარი, გიორგი ჩაკვეტაძე აღნიშნავს, რომ მოსამართლის უფლებები იმდენად შევიწროვდა, რომ დამოუკიდებელი არბიტრის როლიც უკვე ფუფუნებად შეიძლება ჩათვალოს.<sup>12</sup> მისივე თქმით, მხარეები უფრო მეტი უფლებით სარგებლობენ, ვიდრე თვით სასამართლო.

მინდა აღვნიშნო, რომ სასამართლო არც ისე დაკნინებულ მდგომარეობაშია, როგორც მას აფასებენ. გამოძიების სტადიაზე მოსამართლეზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მტკიცებულების მოპოვება, ვინაიდან, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი გასცეს განჩინება ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, რომლებიც ზღუდავენ პირების უფლებებს. ასევე, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება. მოსამართლე ამოწმებს მტკიცებულებების ხარისხს, დასაშვებობას, რაც მათ კანონიერებას, რელევანტურობას და უტყუარობას გულისხმობს, გადაწყვეტილება კი უნდა ეფუძნებოდეს მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

გამოძიების სტადიაზე მხარეებს შორის არსებული უთანასწორობის შესახებ მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობა ნაკლებია, მაგრამ თვლიან, რომ რომელიმე მხარის უპირატესობა დაბალანსებული უნდა იყოს მეორე მხარის მეტი უფლებრივი გარანტიით.<sup>13</sup>

სსსკ-ის 24-ე თავში დადგენილია, რომ განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. კანონიერება გულისხმობს რომ განაჩენის გამოტანა უნდა ეფუძნებოდეს კანონს, დასაბუთებულობა გულისხმობს რომ უნდა ემყარებოდეს სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას, სამართლიანი განაჩენი კი გულისხმობს სასჯელისა და ქმედების შემადგენლობის შესაბამისობას. როგორც

---

<sup>12</sup> გ. ჩაკვეტაძე, მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2) გვ. 30.

<sup>13</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 88

ჩანს, კანონში არ არის მოთხოვნა სასამართლოს მიერ ჭეშმარიტების დადგენისათვის.

ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის განმარტების თანახმად სასამართლომ მხარეებს უნდა შეუქმნას თანაბარი პირობები - კონსტიტუცია მიზნად ისახავს უსამართლო სამართალწარმოების შედეგად მსჯავრდების პრევენციას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უპირველეს ყოვლისა მხარეებზე მტკიცებულების მოსაპოვებლად თანაბარი უფლებების მინიჭებით, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

მოსამართლე უსმენს მხარეებს, აფასებს მტკიცებულებებს, და სვამს დამაზუსტებელ შეკითხვას - თუკი მხარე მას ამის უფლებას მისცემს. სასამართლოს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულების მოსაპოვებლად. ისეთ ვითარებაში, როცა ერთ-ერთი მხარე, რომელიც კარგადაა მომზადებული, ხოლო მეორე მხარე არ წარმოადგენს მტკიცებულებებს და ვერ გააქარწყლებს მეორე მხარის პოზიციას, შესაბამისად, გაიმარჯვებს მომზადებული მხარე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პრინციპი - უდანაშაულობის პრეცეპტი, რომლის მიხედვითაც ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ ვიდრე კანონიერ ძალაში არ შევა მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი, ბრალდების ტვირთი კი აკისრია ბრალდების მხარეს და არავინ არაა ვალდებული ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა.

დაცვის მხარის მიერ გამოძიების ჩატარების მთავარი მიზანია გააქარწყლოს ბრალდების ეჭვი, გამორიცხოს დანაშაულის ფაქტი ან შეამსუბუქოს სასჯელი. თუ დაცვის მხარე იხელმძღვანელებს ზემოთხსენებული პრინციპებით, არ დაამტკიცებს საკუთარ უდანაშაულობას, იქნება უმოქმედოდ, მივიღებთ სურათს, სადაც მას განესაზღვრება მკაცრი ბრალდება და სასჯელიც.

შეჯიბრებითი პროცესი ატარებს ნაკლს. ამიტომ, მიზანშეწონილია სასამართლოს შეთავსებული ჰქონდეს ინკვიზიციური ელემენტებიც, რაც გულისხმობს შეხედულებისამებრ, მაგალითისთვის, სადაო და საკვანძო სიტუაციების გასარკვევად სასამართლოს შეეძლოს მოიპოვოს მტკიცებულება ისეთ საკითხზე, რომელზეც არ საუბრობს არცერთი მხარე, მაგრამ სასამართლოს

თვლის რომ სწორედ ეს მტკიცებულება დაეხმარება მას ფაქტის უკეთ შეფასებაში. სასამართლოს მოქმედება უნდა განხორციელდეს ნეიტრალურ ნიადაგზე, ჭეშმარიტების დასადგენად და არა რომელიმე მხარის მხარდასაჭერად. ამ იდეის განსახორციელებლად საჭიროა კლევა და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, ასევე, კონტროლის მექანიზმების დაწესება, რათა სასამართლო არ გადაიხაროს რომელიმე მხარისაკენ. ამავდროულად, სასამართლო არ უნდა იქცეს რომელიმე მხარედ, უნდა დარჩეს დამოუკიდებელ ორგანოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის ერთ-ერთ განჩინებაში საუბარია შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვაზე და სასამართლოს როლზე ამ პროცესში. პროკურორმა გაასაჩივრა სასამართლოს განჩინება, რომელმაც დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულება, დათვალა იერების ოქმი თარიღის მიუთითებლობის გამო. ბრალდების მხარემ გამოთქვა პოზიცია, რომ ეს იყო სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითი პროცესის დარღვევა, რადგან აღნიშნული მტკიცებულება დაცვის მხარეს სადაო არ გაუხდია, სასამართლომ კი საკუთარი ინიციატივით დაუშვებლად ცნო ის.

ამ ფაქტზე საგამომიებო კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს სსსკ-ის 219 მუხლის თანახმად, მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას, მიუხედავად იმისა, ხდის თუ არა მეორე მხარე მტკიცებულებას სადაოდ, სასამართლო არაა შეზღუდული და ამავდროულად ვალდებულიცაა სრულყოფილად შეამოწმოს წარდგენილი მტკიცებულებები და შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ. ეს წესი არათუ არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს, არამედ პირიქით, ამყარებს მას, ვინაიდან უზრუნველყოფს მტკიცებულების ხარისხს და კანონიერებას.<sup>14</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია სასამართლოს გაუფართოვდეს უფლებებათა სპექტრი მართლმსაჯულების ფუნქციის უკეთ შესრულების მიზნით.

---

<sup>14</sup> განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 22/04/2016, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე გიორგი მიროტაძე.

## თავი 2. შეჯიბრებითი სისტემის ისტორიული მიმოხილვა

### 2.1 შეჯიბრებითობის ცალკეული ფორმის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებები

შეჯიბრებითი პროცესის პრინციპმა აღიარება ჰპოვა იმ მიზეზით, რომ აღიქმება როგორც ცალკეულ პირთა უფლებათა დაცვის საუკეთესო მოდელი. მკვლევართა ნაწილის აზრით შეჯიბრებითი სამართალწარმოების მოდელი საუკეთესო გზაა ჭეშმარიტების დასადგენად. აღნიშნულ თავში განხილული იქნება შეჯიბრებითი პროცესის ისტორიული მიმოხილვა და ანალიზი. შევადარებთ ინკვიზიციურ პრინციპს, რომელიც გავრცელებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. შეჯიბრებითი პროცესის წარმოშობას წინ ბევრი წყარო მიუძღვის, ამიტომ საჭიროა საკითხის ფართომასშტაბური ანალიზი.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ადვოკატის ინსტიტუტის ჩამოყალიბების გავლენას, ვინაიდან შეჯიბრებითი პროცესის წარმოშობა და განვითარება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ადვოკატის საქმიანობასთან. ბრალდებული, ადვოკატის გარეშე, პროცესში ჩართვას ვერ ახერხებდა.

როგორც ვლადიმერ მაჭარაშვილი აღწერს თავის კვლევაში „საადვოკატო გამოძიების პირველი ნიშნები, ჯერ კიდევ ანტიკურ სახელმწიფოებში იღებს სათავეს. მაგ: „ათენის სასამართლოში „მხარეები წარადგენდნენ საქმის გამო საჭირო ყველა საბუთს: დოკუმენტებს, მოწმეთა ჩვენებას და სხვ“.

ამავე ნაშრომში ავტორს მითითებული აქვს, რომ ათენში „ორივე მხარეს თანაბარი დრო ეძლეოდა საქმის მოსამზადებლად“, რაც უკვე არა მარტო მხარეთა შეჯიბრებითობაზე მიუთითებს, არამედ თანასწორობაზე და დიდ სამართლებრივ კულტურაზე.“<sup>15</sup>

ძველი რომისა და ათენის სამართალი შეჯიბრებითობის პრინციპზე იყო აგებული, რაც დამოწმებულია სხვადასხვა წყაროებით. მაგალითად, მკვლევარი ტალიაშვილი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ქვეყნებში დაკანონდა

---

<sup>15</sup> ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 0192, საქართველო, გვ. 81.

პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მხარეების თანასწორობას, ბრალდებულისთვის დაცვის უფლებით სარგებლობის უფლებას.<sup>16</sup>

ზ. ჩერნილოვსკი წერს, რომ ათენის სასამართლოში საქმის განხილვამდე ხდებოდა საქმის წინასწარი გამოძიება, რომლის დროსაც ბრალდებულსაც და ბრალმდებელსაც ჰქონდათ უფლება მიეცათ ჩვენება, მოეთხოვათ მოწმეების დაკითხვა და წარედგინათ მტკიცებულებები.<sup>17</sup>

ავტორი აღნიშნავს რომ იმდროინდელი ადვოკატურა თანამედროვისგან განსხვავდებოდა. მოსამართლე და მსაჯულები ისმენდნენ მხარეების სიტყვებს და წყვეტდნენ ბრალეულობის საკითხს. სასამართლო, ისევე როგორც ათენში, რომშიც გამოდიოდა არბიტრის როლში, არ ერეოდა მტკიცებულების მოპოვებაში და მხარეებს უქმნიდა თანაბარ შესაძლებლობებს დაეცვათ საკუთარი უფლებები. სწორედ ამ ორმა ანტიკურმა სახელმწიფომ ჩაუყარა საფუძველი შეჯიბრებით პროცესს.<sup>18</sup>

ვ.მაჭარაშვილმა თავის ნაშრომში აღნიშნა, რომ საქართველოში, ფეოდალურ ხანაში გავრცელებული იყო საბრალდებო პროცესი, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპებს ითვალისწინებდა, ვინაიდან მხარეები თვითონ მოიპოვებდნენ მტკიცებულებებს და წარადგენდნენ მათ.<sup>19</sup> მხარეები უკუაგდებდნენ ერთმანეთის არგუმენტებს საკუთარი ფაქტებით და სიტყვებით.

რომში სამართალწარმოებისას უზრუნველყოფილი იყო საქმის განხილვისას მხარეთა თანასწორობა, თუმცა არაფერია ნათქვამი თუ როგორ ხდებოდა შეჯიბრებითი პროცესის დაცვა გამოძიების სტადიაზე. დღესდღეობით, როცა ადამიანთა უფლებების დაცვას უდიდესი ყურადღება ენიჭება, მაინც ვერ ხერხდება გამოძიების სტადიაზე მხარეთა გათანაბრება უფლებრივად და ვფიქრობთ, რომ რომშიც იუნდა ყოფილიყო მსგავსი პრობლემა.

---

<sup>16</sup> ა. ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, ბაკმი, 2009, გვ. 7;

<sup>17</sup> ზ. მ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია (საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია), მე-2 გამოცემა, ტომი პირველი, გამომც. „ნეკერი“, 2003, გვ. 58;

<sup>18</sup> ა. ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, ბაკმი, 2009, გვ. 7;

<sup>19</sup> ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 0192, საქართველო, გვ. 90.

მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა, გაუარესდა ბრალდებულის მდგომარეობა, ხდებოდა მათი წამება ჩვენების მიღების მიზნით, პროცესი ხდება ინკვიზიციური, თუმცა სიტუაცია ისევ შეიცვალა ჩვ.წ.ა IV საუკუნეში, როცა ისევ მიეცა გასაქანი ადვოკატის საქმიანობას.<sup>20</sup> ადვოკატი იმდენად გავლენიანი პირი გახდა, რომ მათი განმარტება კანონის ტოლფასი გახდა.

საერთო სამართლის ქვეყნები, როგორც წესი, ის ქვეყნებია, რომლებიც დიდი ბრიტანეთის მიერ იყო კოლონიზირებული. ამ ქვეყნების ერთ-ერთი მახასიათებელია შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი, რომელმაც 1066 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა ეტაპი გამოიარა.<sup>21</sup>

თავდაპირველად სისხლის სამართლის მპროცესი ატარებდა კერძო ხასიათს, რომლის მიზანი ძირითადად შურისძიება ან სამაგიეროს მიზლვა იყო. ბრალდებული გამართლდებოდა თუ გადაიტანდა სხვადასხვა ფიქიკურ ტანჯვას, ან მას მხარს დაუჭერდნენ რწმუნებულები, რომლებიც დაადასტურებდნენ ფიცის უტყუარობას.<sup>22</sup> სახელმწიფოს როლი მცირედით გამოიხარებოდა, რადგან სასჯელს თვით დაზარალებული ირჩევდა.

1100 წლიდან, მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად ინგლისის სამეფომ გადაწყვიტა სასამართლოში გაეძლერებინა გვირგვინის გავლენა. ზოგიერთი დანაშაულები, როგორებიცაა მკვლელობა, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სერიოზული დანაშაულები, ქურდობა, აალება და ა.შ, აღიარებული იქნა როგორც სამეფო კარის ხელყოფა.<sup>23</sup>

ამიტომ შეიქმნა შერიფებისა და სამეფო სასამართლოების ინსტიტუტები, ჩნდება თანამედროვე ნაფიც მსაჯულთა პირვანდელი ჩანასახები. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, 1400 წლამდე ბრალდების მომზადება და ბრალდების პროცესი დამოკიდებული იყო დაზარალებულსა და მის ოჯახზე.

<sup>20</sup> ა. ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, ბაკმი 2009, გვ. 72;

<sup>21</sup> Marion E Brienen and Ernestine H Hoegen, *Victims of Crime in 22 European Criminal Justice Systems* (Wolf Legal Publishers, 2001) 39;

<sup>22</sup> Sanjeev Anand, 'The Origins, Early History and Evolution of the English Criminal Trial Jury' (2005) 43 *Alberta Law Review*, 407, 409;

<sup>23</sup> David Seipp, 'The Distinction between Crime and Tort in the Early Common Law' (1996) 76 *Boston University Law Review*, 59.

1400-დან 1700 წლამდე შერიფები და სამეფო სასამართლოები იწყებენ აქტიურ ასპარეზს პროცესის მსვლელობაში. აღნიშნული პერიოდი შეფასებულია როგორც ყველაზე დიდი ნაბიჯი და გარდატეხა შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესში. 1700 წლამდე დაზარალებული ისევ აქტიურად გამოდიოდა პროცესში. მას ევალეობდა ბრალდებულის შეპყრობა და წარდგენა, მტკიცებულებების შეკრება, მოწმეების მოწვევა და დაკითხვა, პროცესის ორგანიზება.<sup>24</sup>

ადრეულ შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესს გააჩნდა დღევანდელისგან განსხვავებული ნიშნები:

- თავდაპირველად მოსამართლე ბრალდებულს, დაზარალებულს და მოწმეებს წარუდგენდა მსაჯულებს, რომლებსაც მოსახლეობა შეადგენდა და ისინი წყვეტდნენ, გადაეცათ თუ არა საქმე სამეფო სასამართლოსთვის განსახილველად;
- როგორც წესი, სასამართლო პროცესი 15-20 წუთი გრძელდებოდა;
- პროცესის მსვლელობისას დაზარალებულის ჩვენებას წინ უსწრებდა მტკიცებულების გამოცხადება, რომელსაც წინასწარ განიხილავდნენ მსაჯულები;
- ბრალდებული გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებას ბრალდების შესახებ;
- ბრალდება ხდებოდა უშუალოდ სასამართლო პროცესის მსვლელობისას. მანამდე ბრალდებულს აკავებდნენ რათა არ ჰქონოდა შანსი მოემზადებინა არგუმენტები თავის დასაცავად, შესაბამისად, არც ის იცოდა, რისთვის ედებოდა ბრალი;<sup>25</sup>
- არ არსებობდა უდანაშაულობის პრეზუმფცია. არც მტკიცებულების შეფასების სტანდარტები;<sup>26</sup>

---

<sup>24</sup> Gregory Durston, 'The Inquisitorial Ancestry of the Common Law Criminal Trial and the Consequences of its Transformation in the 18th Century' (1996) 5 Griffith Law Review 177, 181;

<sup>25</sup> R A Duff et al, The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial (Hart Publishing, 2006) 32;

<sup>26</sup> Gregory Durston, 'The Inquisitorial Ancestry of the Common Law Criminal Trial and the Consequences of its Transformation in the 18th Century' (1996) 5 Griffith Law Review 177, 185–6.

- მოსამართლეები ერეოდნენ პროცესის მსვლელობაში: კითხავდნენ მოწმეებს, ერეოდნენ მტკიცებულებების წარდგენაში, მონაწილეობდნენ მსაჯულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, აპროტესტებდნენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;<sup>27</sup>
- საბოლოო ვერდიქტი ეკუთვოდა მსაჯულებს.

აღნიშნული პროცესების დროს ბრალდებულს არ ჰქონდა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება. ბრალდებული დაცვის მოვალეობა შეთავსებული ჰქონდა მოსამართლეს, რომელიც გამოავლენდა ბრალდების ნაკლოვანებებს, მაგრამ პრაქტიკაში ამ უფლებას არ იყენებდნენ და ბრალდებული რჩებოდა დაუცველი.

## 2.2 თანამედროვე შეჯიბრებითი პროცესის ჩამოყალიბება

რეფორმების ერთობლიობამ, რომლებიც მიმართული იყო დანაშაულობის წინააღმდეგ, დღევანდელი შეჯიბრებითი პრინციპი წარმოშვა, რომელიც მოტივირებულია ბრალდებულის უფლებების დაცვისაკენ, ხოლო დაზარალებული გამოდის როგორც მოწმე და არა ბრალმდებელი.

საპროცესო სამართალი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი იყო. მეცნიერები განასხვავებენ 4 სტილის პროცესის ფორმას: ბრალდებითს, სამძებრო-ინკვიზიციურს, შეჯიბრებითს და შერეულს. შეჯიბრებითი პროცესი ევროპაში XVIII საუკუნიდან ხდება გამოყენებადი.<sup>28</sup>

ინდუსტრიალურმა რევოლუციამ და ლონდონის მიდამოებში მოსახლეობის ჭარბმა ზრდამ გაზარდა დანაშაულთა რიცხვი. დამნაშავეთა გამოსავლენად არაფორმალური გაერთიანებების შექმნა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. წევრები გაწევრიანებისთვის იხდიდნენ გადასახადს, შემდეგ კი ამ შენატანებს იყენებდნენ სამართლებრივი წარმოებისთვის და უხდიდნენ იურისტებს ეფექტური

<sup>27</sup> R A Duff et al, *The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial* (Hart Publishing, 2006) 35.

<sup>28</sup> ა. ტალიაშვილი, ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, ბაკმი, 2009, გვ. 12-13.



საქმიანობისთვის.<sup>29</sup> ისინი, ვინც ყველაზე ხშირად ხდებოდნენ დანაშაულების მსხვერპლნი, ბანკები და ორგანიზაციები, აქტიურად იწყებენ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობას. 1700 წლიდან დამნაშავეთა შეპყრობისთვის და მათი სასამართლოში წარდგენისთვის სახელმწიფომ დააწესა ჯილდოები, რამაც ცრუ ბრალდების ზრდა გამოიწვია, ვინაიდან საზოგადოება ჯილდოს მიღების სურვილმა შეიპყრო.

1800 წლის დასაწყისისთვის შეიქმნა სახელმწიფოს მიერ მართული საპოლიციო ძალები. საპოლიციო ძალები, დაზარალებულთან შედარებით, მეტად ეფექტური აღმოჩნდა მტკიცებულებების მოპოვებაში, მაგრამ პოლიციას არ შეეძლო მტკიცებულების უტყუარობის შეფასება, რის გამოც სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვება გამორიცხული არ იყო.<sup>30</sup>

ბრალდებულები სასამართლო განხილვამდე დაკავებულნი იყვნენ, რის გამოც არ ჰქონდათ საშუალება მოემზადებინათ თავის დასაცავი მტკიცებულებები, არ ჰქონდათ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ, არ შეეძლოთ მოწმეების მოწვევა, და ხშირად, იყვნენ უქონლები და გაუნათლებელნი, რაც აუარესებდა მათ მდგომარეობას.

სამომავლო ცვლილებები განაპირობა ბრალდებულის არასახარბიელო მდგომარეობამ. 1730 წლიდან სასამართლომ ნება დართო ბრალდებულს თავი დაეცვა ადვოკატის დახმარებით, 1836 წელს კი გაუქმდა ყველა პირობა, რომელიც აფერხებდა ბრალდებულის ადვოკატის დასწრების უფლებას. ამან განაპირობა მტკიცებულებათა გამოკვლევის და ჯვარედინი დაკითხვის ინსტიტუტების გამოჩენა. მოსამართლე იქცა შუამავლად ბრალმდებელსა და ბრალდებულის ადვოკატს შორის. დამსწრეები ნეიტრალურ მაცურებლებად იქცნენ, ადვოკატებმა კი დაამკვიდრეს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ურჩევდნენ თავის კლიენტებს შეენარჩუნებინად მდუმარება, რითაც ავალდებულებდნენ ბრალდების მხარეს ეწარმოებინა ბრალდება.<sup>31</sup>

<sup>29</sup> John Langbein, *The Origins of the Adversary Criminal Trial* (Oxford University Press, 2003) 135–6;

<sup>30</sup> Yue Ma, 'Exploring the Origins of Public Prosecution' (2008) 18(2) *International Criminal Justice Review* 190, 195–6.

<sup>31</sup> R A Duff et al, *The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial* (Hart Publishing, 2006) 43;

1850 წლამდე ბრალდება მიმდინარეობდა დაზარალებულის შუამდგომლობიდან პოლიციაში. პროკურორმა დღევანდელი დატვირთვა მიიღო 1985 წელს. დაიწყო საქმის წარმოება სახელმწიფო ბრალდებით.

მოკლედ შევხვით შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესსა და გამოძიების განვითარებას საქართველოში. ივანე ჯავახიშვილი წერს რო შესმენა და ბრალდება დამტკიცებული უნდა ყოფილიყო, რის გამოც ფაქტი უდა გამოეძიებიათ. ბრალმდებელს თავად უნდა ეკისრა ბრალდების ტვირთი.<sup>32</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე გასამართლებას წინ გამოძიება უძლოდა. აუცილებელი იყო მსაჯულს გამოერკვია საქმის უტყუარი ვითარება. უპირველესად ხდებოდა მოწმეების გამოკითხვა, შემდგომ დამნაშავეების<sup>33</sup> გასამართლება.

თუ ბრალდება ხდებოდა დაზარალებულის ან მოწმის ჩვენების საფუძველზე, ბრალის დამწამებელს უნდა დაემტკიცებინა თავისი ინფორმაციის უტყუარობა.

გამოძიების მთავარი მიზანი იყო ბრალდებულის ბრალეულობის დამამტკიცებელი გარემოებების შეგროვება და მისი მხილება. ამისათვის ხდებოდა ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვება.

ივ. ჯავახიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ბრალდებულის თავის გასამართლებლად შეეძლო გაეცა პასუხი. მათ ასევე ჰყავდათ დამცველებიც, რომელბსაც მეოხეები ერქვათ. მათი მიზანი იყო ბრალდებულის გამართლება ან მათი მდგომარეობის შემსუბუქება. აღნიშნული გარემოება მეტყველებს რომ საქართველოში XII-XIII საუკუნეებში არსებობდა შეჯიბრებითი პროცესის ნიშნები. შეჯიბრებით პროცესზე მეტყველებს ისიც, რომ მხარეები ერთმანეთს მსაჯულის წინ უპირისპირდებოდნენ და წარმოთქვამდნენ სიტყვებს.<sup>34</sup>

<sup>32</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 7, თბ., 1984, გვ. 352;

<sup>33</sup> ისტორიულად, ადრე ტერმინი ბრალდებულის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი - დამნაშავე;

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 7, თბ., 1984, გვ. 354-355.

## 2.3 თანამედროვე შეჯიბრებითობის პრინციპი

შეჯიბრებითობის პრინციპმა მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული ბევრი ცვლილება განიცადა. ამჟამად აღნიშნული პრინციპი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი, მაგრამ არის გარკვეული ნიშნები, რომლებიც საერთოა ყველასთვის:<sup>35</sup>

- სასამართლოში განხილვისას ბრალდებას მხარს უჭერს პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს. დაზარალებული წარმოდგენილია როგორც მოწმე. საქმე უნდა წარმოებდეს სამართლიანად, შემდეგი პრინციპებისა და ნორმების დაცვით:
  - ~ ბრალდებული სარგებლობს დუმის უფლებით და უდანაშაულობის პრეზუმფციით;
  - ~ ბრალდების მხარეს ეკისრება ბრალდების ტვირთი;
  - ~ ბრალდებულს აქვს უფლება დაკითხოს მოწმეები;
  - ~ ბრალდების მხარემ უნდა განიხილოს ყველა მტკიცებულება, როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელიც;
  - ~ სასამართლო განხილვა უმიზეზოდ არ უნდა გაჭიანურდეს;
  - ~ თუკი ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე დანაშაულის ჩადენაში და მას არ აქვს საშუალება დაიცვას თავი, მას უნდა დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.
- მხარეები თვითონ წყვეტენ, რომელი მტკიცებულებები წარმოადგინონ, რა საკითხები განიხილონ და რა კითხვები დაუსვან მოწმეებს;
- მოსამართლე პასიური ფიგურაა, რომელიც არ ერევა მტკიცებულებების წარგენაში, მხარეების გამოკითხვაში, გარდა შემთხვევებისა, როცა ირღვევა პროცესუალური საკითხები;
- განიხილება იმ მოწმეების ჩვენებები, რომლების გამოცხადნენ სასამართლო განხილვაზე და შესაძლებელია მათი ჯვარედინი დაკითხვა;

<sup>35</sup> The features of the modern adversarial criminal trial are discussed in more detail in The Role of Victims of Crime in the Criminal Trial Process Information Paper 1: History, Concepts and Theory (May 2015) 2–4.

- თუ საქმე განიხილება ნაფიცი მსაჯულების მიერ, მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ მოსამართლე მსაჯულებს განუმარტავს გამოსაყენებელ ნორმას, განაჩენის გამოტანის წესებს;

რაც შეეხება საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობას, შეჯიბრებითი პრინციპის შესახებ პირველი ჩანაწერი გვხვდება 1995 წლის კონსტიტუციაში<sup>36</sup>, რაც შემდგომ 1998 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა განამტკიცა. მართალია, პირველი ნაბიჯები ვერ უზრუნველყოფდა კანონის ზუსტ და განუხრელ დაცვას, მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯები.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს დებულებას, რომელიც მოწმობს შეჯიბრებითი პროცესის განხორციელების შესაძლებლობას:

დამცველს, აგრეთვე დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ კიდევ ოფიციალურად დაკითხული არ არის; გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ასეთი მოთხოვნა; მიმართონ მცოდნე პირს გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შუამდგომლობის დასასაბუთებლად; ისარგებლონ კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობების მისაღებად.<sup>37</sup>

აღნიშნული გზით მოპოვებული მტკიცებულებები თან უნდა დაერთოს საქმისათვის, ხოლო დამცველის მოთხოვნა საგამომიებო მოქმედების ჩატარებისათვის სავალდებულო იყო გამომძიებელისა და პროკურორისათვის.

სსსკ-ის 1998 წლის რედაქციამ შვა 2009 წლის კოდექსი, რომელმაც საქართველოში თანამედროვე შეჯიბრებითი პროცესი განამტკიცა.

<sup>36</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995;

<sup>37</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998, მუხ. 129.

## თავი 3. შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზების პრობლემები გამოძიების სტადიაზე

### 3.1 მოწმის გამოკითხვა და დაკითხვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მერვე ნაწილის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელსაც შესაძლოა ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, შეიძლება გამოიკითხოს მხარეების მიერ. გამოკითხვა ნებაყოფლობითია. გამოსაკითხი პირის იძულება დაუშვებელია. გამოსაკითხი პირი, მას შემდეგ, რაც დათანხმდება გამოკითხვას, ვალდებულია მხარეს მიაწოდოს სწორი ინფორმაცია.

მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე უპირატესობას ფლობს. შეჯიბრებითობის პრინციპთან შეუთავსებელია ამავე მუხლის მერვე ნაწილი:

თუ გამოკითხვას ბრალდების მხარე ატარებს, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია განუმარტოს გამოსაკითხ პირს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად, რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს ინფორმაცია უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში.<sup>38</sup>

აღნიშნული ფორმულირებიდან ნათელია, რომ კანონმდებელმა აღნიშნული უფლება გადასცა მხოლოდ ბრალდების მხარეს. ხოლო დაცვის მხარეს უფლება რჩება გამოკითხოს პირი მაშინ, თუ ის თანახმაა.

ბრალდების მხარეს რჩება უფლება მიიღოს ჩვენება სავალდებულო წესით მოწმისგან იმდაგვარად, რომ ამ პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს დაცვის მხარე. ერთადერთი გამოსავალია დაცვის მხარემ მიიღოს მონაწილეობა მოწმის დაკითხვაში. ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის თანახმად ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს

<sup>38</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 17/04/2019

დაკიხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მხარის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში.

დაცვის მხარე, ბრალდების მხარისგან განსხვავებით დამოკიდებულია მოწმის კეთილ ნებაზე ითანამშრომლოს მხარესთან, ვინაიდან მოწმის დაკითხვის იძულების ბერკეტი მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია.

კოდექსის ზემოხსენებული მუხლი არღვევს არა მხოლოდ შეჯიბრებითი პროცესის იდეას, არამედ ეჭვქვეშ აყენებს გამოკითხვის ნებაყოფლობითობასაც, მაგრამ ეს საკითხი ჩვენს საკვლევ თემას არ ეხება, ამიტომ ამაზე არ ვისაუბრებთ. დაცვის მხარეს, ისევე როგორც ბრალდების მხარეს, აქვს უფლება დააყენოს შუამდგომლობა პირის მოწმედ დაკითხვის შესახებ თუკი არსებობს გარემოებები: საფრთხე ემუქრება მოწმის ჯანმრთელობას/სიცოცხლეს, რაც სამომავლოდ შეუძლებელს გახდის მისი სასამართლო განხილვის დროს დაკითხვას; დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; აუცილებლობა განპირობებულია დაცვის სპეციალური ღონისძიებიდან გამომდინარე. მართალია, აღნიშნული გარემოებები დაცვის მხარეს აძლევს შანსს დაკითხოს მოწმე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, მაგრამ ეს უფლება არ ათანაბრებს მას ბრალდების მხარესთან, რომელსაც 114-ე მუხლის მეორე ნაწილით შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში, კონკრეტულად კი - თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს აცხადებს. ამასთანავე, მეორე მხარე დაკითხვას არ ესწრება.

უფლებათა გათანაბრების მიზნით კანონმდებელმა დაცვის მხარეს მიანიჭა უფლება წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ კანონის არსებითი დარღვევით დაიკითხა. მაგრამ

გაუგებარია, როგორ შეიძლება გახდეს ცნობილი დაცვის მხარისათვის დაკითხვის მსვლელობის დეტალები, თუ ის დაკითხვის პროცესს არ ესწრება.

შეჯიბრებითობის პრინციპი დაირღვა, ვინაიდან გამოიკვეთა შემდეგი: ბრალდების მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მოწმის დაკითხვა, დაცვის მხარეს კი - მსგავსი უფლება არ გააჩნია. მეტი თანასწორობისთვის მიზანშეწონილია მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ დაცვის მხარეს, არა მხოლოდ პირველ ნაწილში ჩამოთვლილი გარემოებების დროს, არამედ მაშინაც მიეცეს შუამდგომლობის დაყენების უფლება, როცა მიიჩნევა, რომ პირი, რომელიც უარს ამბობს გამოკითხვაზე, ფლობს საქმისათვის საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას.

2018 წელს განხორციელებული ცვლილებებით 113-ე მუხლს დაემატა ახალი 11-13 ნაწილები, რომელთა თანახმადაც:

პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი უფლებამოსილია დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამოკითხოს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე, თუ ამგვარი წესით პირის გამოკითხვა დაშვებულია საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით, ამ პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართლით ან/და ამ სახელმწიფოს ნათლად ჩამოყალიბებული პრაქტიკით.<sup>39</sup>

ტექსტში ნახსენები არ არის დაცვის მხარე, და არც ის, აქვს თუ არა მსგავსი უფლება მას. როგორ გადაწყდება საკითხი მაშინ, როცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდების პოზიცია, იმყოფება უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ პირთან?

ამ დროს, კანონმდებლობიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს პირის დაკითხვაც კი. რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი, დაცვის მხარემ დამოუკიდებლად უნდა სცადოს აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ რჩება ბედის ანაბარა, ვინაიდან, უფლების განხორციელება დაკავშირებულია ფინანსებთან, მოწმის მხრიდან კი თანამშრომლობაზე უარის

<sup>39</sup> საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 20/07/2018, 090000000.05.001.019056

მიღების ალბათობა განსაკუთრებით დიდია. ეს ცვლილება კანონში ახალია, ამიტომ ჯერ გამოკვლეული არ არის და არც სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბებულა, ამიტომ, რთულდება საკითხის ირგვლივ მსჯელობა და დასკვნების გაკეთება. მართებულად მივიჩნევ რომ აქედანვე მოხდეს რაიმე ისეთი დებულების ჩამატება, რაც დაცვის მხარესაც აღჭურავს უფლებით, ან, სულ მცირე, სასამართლოს მეშვეობით შეუქმნის პირობას ნაკლები სირთულით მიიღოს მსგავსი ხასიათის მტკიცებულება.

### 3.2 მტკიცებულებების გაცვლა

შეჯიბრებითი პროცესის მთავარი ფუნქციაა მხარეებს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა, აწარმოოს გამოძიება და მოიპოვოს მტკიცებულება. დაცვის მხარის შეზღუდვა რომელიმე საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად იმთავითვე უარყოფს შეჯიბრებითი პროცესის იდეას. ამისათვის, საჭიროა ისეთი მექანიზმის დამკვიდრება, რომელიც გამორიცხავს ამ უთანასწორობას და მხარეთა უფლებებს დაიყვანს თანასწორობამდე.

პროკურატურა ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სრული მოცულობით, რაც გულისხმობს რომ ვალდებულია მოიპოვოს არა მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც ავლენს ბრალდებულის კავშირს დანაშაულებრივ ქმედებასთან, არამედ ისინიც, რომლებიც ამართლებს მას. აგრეთვე, სსსკ-ის 37-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელმა საქმე უნდა გამოიძიოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

გამომძიებელი, საქმის წარმოებისას უნდა აღრიცხავდეს დაცვის მხარის გამამართლებელ მტკიცებულებებსაც, რომელთა გაცნობის უფლებაც ნებისმიერ ეტაპზე აქვთ ბრალდებულს და მის ადვოკატს. დავას იწვევს კანონის ის შინაარსი, რომელიც ადგენს რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარეს შეუძლია მოითხოვოს გაეცნოს მტკიცებულებებს, მაგრამ ეს ის მტკიცებულებებია, რომლის გამოყენებასაც ბრალდების მხარე აპირებს გამოიყენოს მტკიცებულებად. სსსკ-ის 83-ე მუხლი სადაო თეზისთან



ერთად, შეიცავს დებულებას, რომელიც ავალდებულებს ბრალდების მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებებიც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ითვალისწინებს მტკიცებულებათა გაცვლის წესს და ადგენს ბრალდების მხარის ვალდებულებას მიაწოდოს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები იმისდა მიუხედავად, აპირებს თუ არა სასამართლოში მათ გამოყენებას, საპროცესო კანონმდებლობა ფუნქციონირებს მკაფიო გამიჯნვის პირობებში, ბრალდების მხარეს არ აკისრებს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებების მოძიების ცალსახა ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა გამჟღავნება უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ბრალდებულის საპროცესო გარანტიების დაცვისათვის, ის სრულად ვერ უზრუნველყოფს „შესაძლებლობათა ბალანსის“ დაცვას სისხლისსამართლებრივ პროცესში. რეგულირების ფარგლებს გარეთ რჩება მტკიცებულებები, რომლებიც მესამე პირთა ხელში იმყოფება. არსებული ვაკუუმის შევსებას ემსახურება მხარეთა მიერ მტკიცებულებათა უერთიერთგაცვლის ვალდებულებასთან ერთად Subpoena duces tecum, რაც გულისხმობს მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის პროცესში მესამე მხარის დავალდებულებას გარკვეული დოკუმენტის წარმოდგენაზე.

სასამართლოს განმარტებით საგამოძიებო ორგანო არ არის ვალდებული გამოიძიოს გამამართლებელი მტკიცებულებები, თუმცა მაშინ კანონის ტექსტი, რომელიც გამომძიებელს ავალდებულებს აწარმოოს ყოველმხრივი გამოძიება, კარგავს აზრს. წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ხდება მტკიცებულებების სავალდებულო გაცვლა, სადაც უკვე ცალსახად მხოლოდ იმ მტკიცებულებების გაცვლა ხდება, რომლის გამოყენებასაც მხარეები სასამართლოში აპირებენ, ასევე, ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებულნი არიან მისცენ ერთმანეთს იმ მტკიცებულებათა გაცნობის უფლება, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

მტკიცებულების საშუალებით მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. რაც შეეხება მტკიცებულებების გაცვლას და გაცნობას მხარეების მიერ, აქ თანაბარი უფლება ირღვევა მაშინ, როცა დაცვის მხარეს გასაცნობად არ ეძლევა უფლება მიიღოს ის მტკიცებულება, რომელზეც პროკურორი დააყენებს შუამდგომლობას და მიღებულია ფარული საგამომიებო მოქმედებების შედეგად. ამ უფლების შეზღუდვის მიზანი ნათელია.

ეტაპზე, როცა დაცვის მხარე ითხოვს მტკიცებულების გაცნობას, შესაძლებელია ისევ მიმდინარეობდეს ფარული საგამომიებო მოქმედება, დაცვის მხარის მიერ ამის გაგება კი ხელს შეუშლის გამოძიების წარმოებას. უფლებათა უთანასწორობის ეს შემთხვევა ახსნილია, მაგრამ დარღვეულია თანასწორობა: დაცვის მხარე ვერ ღებულობს ინფორმაციას და შესაბამისად არ შეუძლია მოამზადოს პასუხი, კონტრმტკიცებულება. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრად სასამართლოს უნდა შეეძლოს განიხილოს ფარული საგამომიებო მოქმედებებით მიღებული მტკიცებულება და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება რა ზომით გადაეცეს მხარეს მტკიცებულება.

არ არის გამორიცხული ფარული საგამომიებო მოქმედებით გამოვლინდეს ისეთი გარემოება, რომელიც ამსუბუქებს ან ამართლებს ბრალდებულს, ნათელია, ასეთი მტკიცებულება გამოადგება დაცვის მხარეს, მაგრამ პროკურორს შეუძლია მიიჩნიოს მტკიცებულება არარელევანტურად და გაანადგუროს ის წესების დაცვით. როცა პროკურორი მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით, განჩინება დგება იმდაგვარად, რომ ან კმაყოფილდება პროკურორის შუამდგომლობა, ან არა. ახლებური მოდელით, რომელიც გააუმჯობესებს შეჯიბრებითობის პრინციპს, სასამართლოს უნდა შეეძლოს ამოიღოს მტკიცებულებიდან ის შინარსი, რაც მომავალ მიზანს საფრთხეს შეუქმნის, ხოლო დანარჩენზე დაუშვას დაცვის მხარის უფლება გაეცნოს.

ვინაიდან სასამართლო არის იმის გარანტი, რომ მხარეებს მიეცემა თანაბარი შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი პოზიცია, მიზანშეწონილად მივიჩნევ სასამართლოს დაქვემდებარებაში შეიქმნას ორგანო, რომელიც განახორციელებს დაცვის მხარის სასარგებლოდ იმ მტკიცებულების მოპოვებას,

რომელზეც ამჟამად დაცვის მხარეს ხელი არ მიუწვდება. ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

### 3.3 ფარული საგამოძიებო მოქმედებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16<sup>1</sup> თავით, რომელიც კოდექსში გვხვდება 2014 წლიდან, განსაზღვრულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესები.

სსსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლში ჩამოთვლილი ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია:

- *სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;*
- *ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;*
- *საფოსტო-სატელეგრამო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;*
- *ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება;*
- *ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.*

ჩამოთვლილი ფარული საგამოძიებო მოქმედებები იჭრება ადამიანის პირად ცხოვრებაში, რომელიც, თავის მხრივ კონსტიტუციის მეოცე მუხლის საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებაა. აღნიშნული თავი ასევე არეგულირებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობასა და დასაშვებობას, რადგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება თუმცა საყოველთაოა და დაცულია სხვადასხვა კონვენციებით, ის მაინც არ არის აბსოლუტური უფლება და გარკვეული გარემოებების არსებობისას შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს ნებართვით.

143<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილი ადგენს: „ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე...“ ფორმულირებიდან ნათელია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ინიციატორი შეიძლება იყოს მხოლოდ ბრალდების მხარე.

143<sup>2</sup> მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად კი *„ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.“*

კანონმდებელს შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მტკიცებულება, რომლის მოპოვება ასეთი რთულია, იგივე ძალისხმევას საჭიროებს დაცვის მხარისთვისაც. ნათლად ჩანს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მხარების შეჯიბრებითობა დარღვეულია რამოდენიმე მიზეზის გამო:

- ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება მხოლოდ ბრალდების მხარის უფლებაა;
- დაცვის მხარე კარგავს უფლებას მოიპოვოს მტკიცებულება, რომლის მოპოვება სხვა გზით ფაქტიურად შეუძლებელია;
- ფარული საგამოძიებო მოქმედება ხორციელდება ბრალდებულის მიმართ, ბრალდების პოზიციის გამყარების მოტივით.

დაცვის მხარისათვის ამგვარი შეზღუდვის დაწესება შეიძლება ნაკარნახები იყოს პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებისგან დაცვით. ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რაც ქმნის გარანტს რომ ის ინფორმაცია, რაც ცნობილი ხდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად, იქნება დაცული.

სსსკ-ის მე-7 მუხლით დადგენილია სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. გამოძიებისას მხარეს არ აქვს უფლება უკანონოდ და თვითნებურად ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში, კერძო კომუნიკაციებში,

ხოლო საპროცესო მოქმედების ჩამტარებელს კანონი ავალდებულებს არ გაამჟღავნოს ამგვარი ინფორმაცია. თუკი მოპოვებული მტკიცებულება იქნება გამოუსადეგარი, არ იქნება რელევანტური, ცალსახად განადგურდება, ხოლო ასეთ მტკიცებულებას, თუ ის მოხდება დაცვის მხარესთან, რა ელის უცნობია, ვინაიდან კერძო პირის გაკონტროლება რთულია, შეიქმნება გასაჯაროების საფრთხე.

სსსკ-ის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. 111-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ, დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას ატარებს.

ამ დებულებებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ დაცვის მხარეს უნდა მიენიჭოს უფლება დააყენოს შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების დასაყენებლად, რადგან, მოქმედებას ჩაატარებს გამომძიებელი, რომელიც არის სახელმწიფო მოსამსახურე ან მოხელე. გამომძიებელმა მიღებული მტკიცებულება უნდა გადასცეს სასამართლოს, რომელმაც უნდა შეაფასოს და მიიღოს გადაწყვეტილება რა დოზით და შინაარსით გადაეცეს შუამდგომლობის დამყენებელ მხარეს აღნიშნული მტკიცებულება.

მანამ, სანამ დაცვის მხარე არ გადაწყვეტს აღნიშნული მტკიცებულების სასამართლოში გამოყენებას, ამ ყველაფრის შესახებ ცნობილი არ გახდეს ბრალდების მხარისთვის.

### 3.4 კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მიხედვით

„1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით“.

ამავე კოდექსის მე-3 მუხლში კი განმარტებულია, თუ რა არის კომპიუტერული მონაცემი და კომპიუტერული სისტემა:

- კომპიუტერული სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).
- კომპიუტერული მონაცემი – კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.<sup>40</sup>

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 17/04/2019.

თანამედროვეობაში რთული წარმოსადგენია რაიმე ორგანო ან დაწესებულება, რომელიც არ იყენებს ტექნოლოგიებს და ინფორმაციის აღრიცხვის ელექტრონულ მეთოდს. დოკუმენტურად მატერიალური მეთოდის საქმის წარმოება წარსულს ჩაბარდა. ასეთი განვითარებადი პირობებისას გამოძიებაც დგება იმ საკითხის წინაშე, რომ უფრო და უფრო მეტი მტკიცებულება ხდება კომპიუტერულ სისტემასთან და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული.

ხშირია საქმეები, რომლებიც მხოლოდ კომპიუტერული სისტემების ირგვლივ ტრიალებს. ასეთ დანაშაულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სსკ-ის 35-ე თავით გათალისწინებული ქმედება - კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა. აღნიშნულ დანაშაულში ბრალდებულის ირგვლივ გამოძიება უკავშირდება კომპიუტერულ სისტემასა და მონაცემებს, შესაბამისად, დაცვის მხარეც, რომელსაც აქვს უფლება აწარმოოს პარალელური გამოძიება საკუთარი შეხედულებისამებრ, მთლიანად კარგავს უფლებას დააყენოს შუამდგომლობა.

კანონის ფორმულირების თანახმად, ამგვარი კომპიუტერული მონაცემის მოპოვებისთვის შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს, რომელიც ბრალდების მხარეს წარმოადგენს. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, შეჯიბრებითობის პრინციპის სერიოზული ხარვეზი იქნებოდა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართომ იმსჯელა ამ საკითხზე და 2017 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას.<sup>41</sup>

გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლომ იმსჯელა ამ საკითხებზე, მოსარჩელე დაობდა იმ კანონის კონსტიტუციურობაზე, რომელიც

---

<sup>41</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2019

კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ შუამდგომლობის დაყენების უფლებას მხოლოდ ბრალდების მხარეს აძლევდა. მოსარჩელების თქმით, ინფორმაცია, რომელიც ადასტურებდა მათ უდანაშაულობას, ასახული იყო სათვალთვალო ვიდეოკამერის ფირზე, რომლის ამოღებაზე შუამდგომლობა სასამართლომ არ განიხილა იმ მოტივით, რომ ამგვარი შუამდგომლობის უფლება ჰქონდა მხოლოდ ბრალდების მხარეს.

მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არღვევდა მათ კონსტიტუციურ უფლებას. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის თანახმად დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. 62-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად კი სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.<sup>42</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმით დეკლარირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არამედ მოიცავს სასამართლო განხილვასთან დაკავშირებულ არაერთ საპროცესო გარანტიას.

ნორმა, რომელიც მხოლოდ დაცვის მხარეს აძლევდა შუამდგომლობის დაყენების უფლებას, მნიშვნელოვნად არღვევდა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც, გარდა კონსტიტუციისა, გათვალისწინებულია სსსკ-ის მეცხრე მუხლითაც. 111-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრულია რომ ხარეებს გამოძიებისას აქვთ თანაბარი უფლებანი.

---

<sup>42</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 23/03/2018.



მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია ითვლება კომპიუტერულ მონაცემად, რაც უფრო მეტად სადაოს ხდის საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული მიდგომის თანახმად, სადავო ნორმის მზლუდავი ხასიათის კონსტიტუციურობა დგინდება თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაღვე და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“<sup>43</sup>

სსსკ-ის 136-ე მუხლი კი დაცვის მხარეს არა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, არამედ სრულად ართმევს უფლებას მოიპოვოს მტკიცებულება კომპიუტერული სისტემიდან, მიუხედავად იმისა, ქმნის თუ არა ამ ინფორმაციის მიღება საფრთხეს სხვა პირების თუ სახელმწიფოსთვის. 136-ე მუხლი არა მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპს არღვევს, არამედ ხელს უშლის საქმის ყოველმხრივ კვლევას, დაცვის მხარის მომზადებას, კონტრარგუმენტების მოძიებას და მთლიანადაა დამოკიდებული ბრალდების მხარის ნება-სურვილზე. ფაქტობრივად, იქმნება საფრთხე, რომ დაცვის მხარე ვერ შეძლებს თავის დაცვას და სასამართლო გადაწყვეტილება დაემყარება არა თანაზარუფლებიანი მხარეების მიერ მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობას, არამედ ბრალდების მხარის მიერ შემოთავაზებულ მტკიცებულებებს.

მტკიცების ტვირთი, მართალია, ბრალდებას აკისრია, მაგრამ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა უკუაგდოს ბრალდების მტკიცებულებები, შეიტანოს ეჭვი მათში, ამისათვის კი სჭირდება წვდომა იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც დაეხმარება დააყენოს საკითხი ბრალდების მხარის დასაბუთებულობაში. ამიტომ, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

უფლება მიიღოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც შეიცავს კომპიუტერულ მონაცემს ან ინახება კომპიუტერულ სისტემაში.

თუ დაცვის მხარეს არ ექნება მსგავსი უფლება, მაშინ მას საკუთარი პოზიციის დაცვა მოუწევს მხოლოდ ისეთი მტკიცებულებებით, რომლებიც თავისი არსით არ არის დაკავშირებული ციფრულ ტექნოლოგიებთან, მაშინ, როცა ამდაგვარი მტკიცებულება შეიძლება იყოს გადამწყვეტი ხასიათის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების ის შინაარსი, რომელიც მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა უფლებას დაეყენებინა შუამდგომლობა კომპიუტერულ სისტემაში არსებული დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.

ასევე საყურადღებოა რომ პროკურორს აქვს უფლებამოსილება უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ან რეგისტრირებული პირისგან უშუალოდ მიიღოს ამ პირის მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ მყოფი, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი კომპიუტერული მონაცემი ან დოკუმენტი, თუ მათი ამ წესით მოპოვება დაშვებულია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით, წარმოშობის სახელმწიფოს სამართლით ან/და ამ სახელმწიფოს მხრიდან ჩამოყალიბებული პრაქტიკით. აღნიშნული წესი საქართველოს რეალობაში ახლად დანერგილი სიახლეა, ამიტომ არ მოიძებნება პრაქტიკული მაგალითები, თუმცა ფორმულირებიდან ნათლად ჩანს რომ საუბარია ბრალდების მხარის უფლებაზე.

### **3.5 ფინანსური უთანასწორობა**

სისხლის სამართალწარმოებაში დაცვის უფლება, ბრალდებულისათვის მინიჭებულ სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სახელმწიფოსა და ბრალდებულის ხელთ არსებული შესაძლებლობების დამაბალანსებელ ინსტრუმენტს. სისხლის სამართალწარმოებაში მხარეს, ერთი მხრივ,

წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელიც წარმართავს გამოძიებას მის ხელთ არსებული უზარმაზარი რესურსებითა და უფლებამოსილებით, მიუწვდება ხელი ნებისმიერ წყაროსთან, შეუძლია გამოითხოვოს დოკუმენტი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ხოლო მეორე მხრივ – ბრალდებული, რომლის შესაძლებლობები (მათ შორის ფინანსური, ადამიანური რესურსები), როგორც წესი, შეზღუდულია.<sup>44</sup>

ქართველი მკვლევარიც, ვლადიმერ მაჭარაშვილიც აღნიშნავს რომ ფინანსური შესაძლებლობების სხვაობა მხარეებს შორის შეჯიბრებითი სამართალწარმოების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა.<sup>45</sup> ბრალდებულს უწევს არამხოლოდ დამცველის გასამარჯელოს გადახდა, არამედ მტკიცებულების მოსაპოვებლად გაღებული ხარჯების ანაზღაურებაც.

აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შორის არსებული ობიექტური სხვაობა კომპენსირებული უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მინიჭებული სხვადასხვა საპროცესო ინსტრუმენტებით იმგვარად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით.<sup>46</sup>

„ბრალდებულის, დაცვის მხარის ფინანსურ მდგომარეობას უპირისპირდება სახელმწიფოს უღვივე რესურსი, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ფინანსურ ჭრილში აშკარა უპირატესობა სახელმწიფოს აქვს და თუ ბრალდებულს შესაბამისი მატერიალური სახსრები არ გააჩნია, დიდი ალბათობით, ის დამარცხდება სამართლებრივ დავაში.“<sup>47</sup>

ექსპერტის დასკვნა, მოწვევა, მოწმის მოწვევა... თითქმის ყველა საპროცესო მოქმედება დაკავშირებულია ფინანსებთან. ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით აწარმოოს გამოძიება. თუ

<sup>44</sup> აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართული სამართლის ჟურნალი, N2, 2016, გვ 12

<sup>45</sup> ვ.მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 0192, საქართველო. გვ. 59;

<sup>46</sup> საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება № 1/1/650,699;

<sup>47</sup> ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 0192, საქართველო, გვ. 63.

ბრალდებული უქონელია, აქვს უფლება დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე, ამ დროს დაცვისათვის განხორციელებულ სხვა მოქმედებებსაც სახელმწიფო ანაზღაურებს. მაგრამ სახელმწიფო ადვოკატის მომსახურება რამდენად ობიექტური და ეფექტიანია, ცალკე მსჯელობის საგანია, საეჭვოა ასეთი ადვოკატის მიუკერძოებლობის საკითხი.

ბრალდებულის დაკავებისთანავე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ასახვა ხდება დაკავების ოქმში დამკავებლის მიერ, მაგრამ, თუ ბრალდებულს თავად სურს სამედიცინო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ, ხარჯებს თვითონ ანაზღაურებს. ბრალდებულს, თუ ის უქონელი არ არის და სარგებლობს ადვოკატით, უწევს შემდეგი ხარჯების ანაზღაურება :

- ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი;
- ექსპერტის საქმიანობის ხარჯები;
- თარჯიმნის ხარჯები, თუ დასჭირდება ამგარი მომსახურება;
- მოწმის გამოცხადების ხარჯი;
- ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;
- მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯები.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ბრალდებულს გადახდისუუნაროდ არ აღიარებს, თანხის გადახდა დაცვის მხარეს დააწვება. ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა არასრული გამოძიების წინაპირობა გახდეს, ან ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს. ბრალდების მხარე ფინანსურად შეზღუდული არ არის და ხელი მიუწვდება ყველაფრისადმი, მიუხედავად ღირებულებისა.

შეჯიბრებითობის პრინციპისათვის აუცილებელია, დაცვის მხარესაც ჰქონდეს იგივე ფინანსური მდგომარეობა, როგორც აქვს ბრალდების მხარეს. მაგალითად, სსსკ-ს 114-ე მუხლი 2018 წლიდან შეიცავს დებულებას: *გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩატარდეს ექსპერტიზა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი საპროცესო მოქმედების სამართლებრივი დახმარების*

აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის გარეშე ჩატარება დაშვებულია შესაბამისი უცხო სახელმწიფოს სამართლით. აღნიშნული ექსპერტიზის დაცვის მხარის მიერ ჩატარება, კერძო ექსპერტის მიერ, იმდენად ძვირად ღირებული შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საერთოდ ვერ ჩაატაროს. მაგრამ ვინაიდან ნორმის ჩანაწერი ახალია და ჯერ არ შესწავლილა, საუბარი ამის შესახებ რთულდება.

### 3.6 ინფორმაცია ბრალდების შესახებ

იმისათვის, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი განხორციელდეს, აუცილებელია ორი დაპირისპირებული მხარის არსებობა. წინასასამართლო სხდომამდე მიმდინარეობს გამოძიება, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ 2 სტადია: ა) სისხლის სამართლის აღძვრა, ბრალდებულის გამოვლენამდე და ბ) ბრალდებულად ცნობა და შემდგომი გამოძიება უკვე დაცვის მხარის მხარდამხარ.

მას შემდეგ, რაც საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი გახდება დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ, გადასაწყვეტია საკითხი, დაიწყება თუ არა გამოძიება. ამ ეტაპზე ჯერ საუბარი არ არის შეჯიბრებითობაზე, რადგან როგორც წესი, პირს რომ ბრალი წაეყენოს, საჭიროა დასაბუთებული ვარაუდი, ხოლო თუ არ არსებობს დაცვის მხარე, არ არის შეჯიბრებითობაც. დასკვნის სახით, შეჯიბრებითი პროცესი მოქმედებას იწყებს მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება ბრალდებულის პიროვნება და ოფიციალურად წაეყენება მას ბრალი.

პირის ბრალდებულად ცნობის მომენტისათვის ბრალდების მხარეს უკვე მზად აქვს მტკიცებულებები, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რაც ნიშნავს რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებით ობიექტური პირი დაასკვნიდა რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. ეს ვითარება აყენებს ბრალდების მხარეს უფლებრივად უკეთეს მდგომარეობაში. არც ის არის გამორიცხული, რომ ბრალდების მხარემ შეგნებულად გააჭიანუროს პირის ბრალდება, რათა შეაგროვოს მეტი მტკიცებულება და უკეთ მოემზადოს. კანონმდებელმა წინასწარ გაითვალისწინა

ეს გარემოება და დაცვის მხარეს გადასცა ბერკეტი, კერძოდ, სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი, ბრალდების დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურება. არსებობს რისკი, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დაკმაყოფილების შემდგომ, ბრალდების მხარემ გააგრძელოს საგამოძიებო მოქმედებები დაცვის მხარის ინფორმირებისა და ბრალდების წარდგენის გარეშე, რა დროსაც პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს მტკიცებულებების შეგროვება, არ მოქმედებს, რადგან არ არის ინფორმირებული.

შეჯიბრებითი პროცესი და სხვა უფლებები, რომლებიც მიმართულია სამართლიანი სასამართლოს განხორციელებისკენ, წარმოიშვება მაშინ, როცა პირი მიიღებს მხარის სტატუსს. ამიტომ, ბრალდების მომენტისთვის, თუ მხარე მიიჩნევს რომ მის მიმართ შეგნებულად გაჭიანურდა ბრალდება, და რომ არსებობს მტკიცებულებების საკმარისი რაოდენობა, იმაზე მეტიც, ვიდრე საჭიროა, შეიძლება გაასაჩივროს პროკურორის მოქმედება სასამართლოში, სასამართლო კი თავის მხრივ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს ყველა იმ მტკიცებულებას, რომლებიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდგომ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.

სსსკ-ის 38-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით ბრალდებულს აქვს დუმილის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ.<sup>48</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირისთვის ბრალი არ წაუყენებიათ, მაგრამ ხდება მისი გამოკითხვა მოწმის სახით, ის ვერ სარგებლობს იმ უფლებით, რომელიც მას შეიძლება გაუჩნდეს ბრალის წაყენების მომენტიდან. ხოლო როგორც მოწმე, ბრალდების მხარეს შეუძლია მოითხოვოს მისი დაკითხვა და მოწმე ამას თავს ვერ აარიდებს, ვინაიდან, დუმილის უფლება ბრალდებულის პერსონალური უფლებაა.

---

<sup>48</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფავიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 207

ამ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა დამკვიდრდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეების უფლებების დაცვას დასაწყისიდანვე. ერთ-ერთი ვარიანტია იმ პირის ინფორმირება, რომლის მიმართაც გამოიკვეთა ეჭვი, რომელიც ფიგურირებს მტკიცებულებებში, თუმცა აქვე განმარტებულ უნდა იქნას რომ ეს არ არის ბრალის წაყენება და ჯერ კიდევ არ არის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საზღვრები მიღწეული, რომ ამას არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგები თუ ვარაუდი არ დასაბუთდა.

პირი, რომელმაც ჩაიდინა სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაული, რასაკვირველია, აცნობიერებს ამას, და თუ საჭიროდ ჩათვლის, დაიწყებს მოქმედებას: მოიპოვებს მტკიცებულებებს, თუ სურვილი აქვს, ითანამშრომლებს გამოძიებასთან, ისარგებლებს დუმილის უფლებით.

ნაკლებად ეფექტურია შეტყობინების გაკეთება, მაგალითად თუ მოხდება შეთავაზება ბრალდების შესახებ ადრეულ ეტაპზე, პირს შეეძლება გააკეთოს არჩევანი და იქცეს მხარედ, რაც მას საშუალებას მისცემს ჩაერთოს გამოძიებაში, მაგრამ ეს თანხმობა არ უნდა შეფასდეს როგორც ბრალეულობის დამამტკიცებელი რამ.

თუ ამ შეთავაზებას კანონმდებელი დაუშვებს, უნდა მოხდეს მისი მკაცრი რეგულირება და კონტროლი. პრაქტიკაში კი არსებობს საფრთხე იმისა რომ ყველა დასთანხმდება ბრალდებას, რაც მათ უფლებრივად უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს, თუმცა გამოძიებას გაართულებს. მიზეზი შემდგომშია: ბრალის წაყენებამდე გამოძიების მიზანია გამოკვეთოს პირის კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასთან.

თუ აღნიშნული არ დასაბუთდა, მაშინ ბრალდება არ მოხდება, ხოლო თუ ყველა შემთხვევაში ადრეული ეტაპიდანვე მოხდება პირის ბრალდება, ეს მიგვიყვანს გადატვირთულ სამუშაოებთან, როგორც დაცვისა და ბრალდების მხარის, ასევე სასამართლო პერსონალისაც.

ამიტომ, უმჯობესია აღნიშნული ვერსია გამოირიცხოს, თუმცა ამ საკითხის კვლევა და ისეთი გზის პოვნა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს იმ ნაპრალს, რომელიც ჩნდება ბრალდების წაყენების მომენტისთვის, არ უნდა შეწყდეს.

### 3.7 მტკიცებულებების გამოთხოვა,

#### ჩხრეკა და ამოღება

საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს გარემოებას, რომელიც მეტყველებს დაცვის მხარის უფლებრივ გამონაკლისზე - კონკრეტულად შინაარსიდან გაგმოდინარე დაცვის მხარეს არ აქვს უფლება გადაუდებელი აუცილებლობით ჩაატაროს ისეთი საგამომიებო მოქმედება რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. წესისამებრ ასეთი საგამომიებო მოქმედება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან გადაუდებელი აუცილებლობით და შემდგომი მიმართვით სასამართლოსადმი, რათა მოხდეს ქმედების კანონიერად ცნობა.

ძველი კოდექსისგან განსხვავებით, გამომძიებელი ახალ კოდექსში მოხსენიებულია როგორც ბრალდების მხარე და მას ევალება არა მხოლოდ საქმის ყოველმხრივი გამოძიება, არამედ პროკურორის მითითების შესრულებაც. ახალმა კოდექსმა ასევე შეძლუდა დაცვის მხარის უფლება მიმართოს საგამომიებო ორგანოს შუამდგომლობით მისთვის სასარგებლო მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.<sup>49</sup> ამჟამად ამგვარი მოთხოვნის არსებობისას დაცვის მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.

ამოღებისა და ჩხრეკის შესახებ მუხლი ადგენს წესებს, რომლის მიხედვითაც ტარდება საგამომიებო მოქმედება. დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებას/ჩხრეკას აწარმოებს ის გამომძიებელი, რომელსაც აღნიშნული საქმის გამოძიება არ ავალია.

120-ე მუხლის მეათე ნაწილი სადაო შინაარსს შეიცავდა, ვინაიდან, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება ჰქონდა ბრალდების მხარეს.

---

<sup>49</sup> ე. ხუციშვილი, ს. ვერძეული, ხარვეზები და ეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბ., 2012, გვ. 27.



შეჯიბრებითობის პროცესში მხარეები თავად წყვეტენ, თუ რომელი მტკიცებულება გამოიყენოს და რომელი არა. დაცვის მხარის მთავარი საქმიანობა მიმდინარეობს ბრალდებულის დაცვისკენ, ხოლო მტკიცებულება, რომელიც მოპოვებული იქნება ჩხრეკისა და ამოღების დროს, შეიძლება არა თუ ამსუბუქებდეს, არამედ პირიქით - ამძიმებდეს ბრალდებულის მდგომარეობას. ბრალდების მხარის მიერ პირველადი გაცნობაა დამძიმებს ბრალდებულის მდგომარეობას, ვინაიდან, შეიძლება ბრალდების მხარემ ეს მტკიცებულება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, კანონმდებლის მიერ ნორმის ამდაგვარი ფორმულირება უხერხულ და მოუხერხებელ მდგომარეობაში აყენებდა დაცვის მხარეს.

ამ საკითხს ბრალდების მხარის თვალთ თუ შევხედავთ, მაშინ გასაგებია, რა მიზანს ემსახურება 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი. დაცვის მხარეს შეუძლია მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც მნიშვნელოვანია გამოძიებისთვის და რომელიც ადასტურებს მის ბრალეულობას, მოიპოვოს და გაანადგუროს. კონსტიტუციურადაა განმტკიცებული უფლება - „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით“.

ამ საკითხის გადაჭრის მცდელობას სანამ შევუდგებით, განვიხილოთ ჩორგოლიანის საქმე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.<sup>50</sup> მომჩივანი დაობდა სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე. მომჩივანის განმარტებით, დაცვის მხარეს უნდა მიენიჭოს უფლება კონსტიტუციური უფლების განმტკიცების მიზნით არ გადასცეს ბრალდების მხარეს ისეთი მტკიცებულება, რომელიც მის ბრალეულობას ადასტურებს. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა იწვევს მხარეთა არსებით უთანასწორობას, გაუმართლებელი იქნება მხარეთა თანასწორობის აღდგენა დაცვის მხარისთვის ანალოგიური უფლების მინიჭების გზით.

---

<sup>50</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/809 2018 წლის 14 დეკემბერი ქ. ბათუმი, საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დაცვის მხარესაც რომ მიეცეს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლება, მიუხედავად მხარეთა თანასწორობის აღდგენისა, დარჩება თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრინციპის დარღვევის საფრთხე. დაცვის მხარე მაინც იქნება ვალდებული, ბრალდებას გადასცეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.<sup>51</sup> მოპასუხემ განაცხადა, რომ აღნიშნული წესი ემსახურება მტკიცებულების ავთენტიკურობის შემოწმებას და ამასთანავე სრული და ყოველმხრივი გამოძიების წარმოებას, რაც შეჯიბრებითობის პრინციპს არ არღვევს.

საქმის განხილვის არსებით სხდომაზე მოწმემ - საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადავო ნორმის პრაქტიკაში იმპლემენტაცია უზრუნველყოფს დაცვის მხარის მიერ ინიცირებული ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული საგნის, ნივთის, ნივთიერების და ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ბრალდების მხარის მიერ მხოლოდ გარეგნულ და არა შინაარსობრივ გამოკვლევას. მისი მითითებით სადავო ნორმის კონტექსტში ტერმინი „გამოკვლევა“ თავისი არსით გულისხმობს მხოლოდ გაცნობას. ამასთან, მან დამატებით აღნიშნა, რომ ბრალდების მხარე სადავო ნორმით განსაზღვრული წესით მოპოვებულ ობიექტს ვერ გამოიყენებს სასამართლოზე როგორც მის სასარგებლო მტკიცებულებას.<sup>52</sup>

სიფას კვლევების თანახმად, ქართული სასამართლოების მიერ დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობა არ კმაყოფილდება, მოტივი კი ისაა, რომ ამგვარი შუამდგომლობა აღიქმება როგორც შუამდგომლობა ამოღების შესახებ. ამით დაცვის მხარე უფლებრივად დაზარალდა, თუმცა კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ დაცვის მხარეს მიენიჭა უფლება მიმართოს სასამართლოს ჩხრეკა/ამოღების ჩატარების შუამდგომლობით.

---

<sup>51</sup> იხ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/809 2018 წლის 14 დეკემბერი ქ. ბათუმი, საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I(14);

<sup>52</sup> იხ. იქვე.

2019 წლის სსსკ-ი 33-ე მუხლი შეიცავს დებულებას, რომლის მიხედვით პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით. 38-ე მუხლი კი ბრალდებულს აძლევს უფლებას გამოითხოვოს მტკიცებულება რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან შესამსუბუქებლად.

გამოთხოვის, როგორც საგამომიებო მოქმედების ჩატარების წესი რეგლამენტირებული არ არის, ერთადერთი, სადაც კონკრეტულად არის მოხსენიებული გამოთხოვა - ეს არის მუხლი კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის შესახებ. სწორედ რეგულირების არარსებობის გამო, სასამართლო პრაქტიკა განსხვავებულია.

სიფას კვლევების თანახმად, გამოთხოვის შესახებ დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების 60-70% არ კმაყოფილდება.<sup>53</sup> მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: წარგენილი მასალების საკმარისობას სასამართლო აფასებს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად. შუამდგომლობა აუცილებლად უნდა შეიცავდეს:

- მითითება, თუ რა გარემოების გამოსარკვევად ხდება მტკიცებულების მოთხოვნა;
- აუცილებელია კავშირის არსებობა აღნიშნულ მტკიცებულებასა და სისხლის სამართლის საქმეს შორის;
- აუცილებელია დოკუმენტის, ინფორმაციის ადგილმდებარეობის ცოდნა;
- აუცილებელია დაცვის მხარემ მიმართოს ჯერ იმ დაწესებულებას, სადაც ინახება მტკიცებულება, ხოლო შემდგომ სასამართლოს;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სასამართლემ იმდაგვარი პრაქტიკა შეიმუშავოს რომ უზრუნველყოს მხარეების თანაბარი უფლებები მტკიცებულების მოპოვების დროს.

---

<sup>53</sup> სიფა, დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით, 2014-15 წწ. შეფასება და რეკომენდაციები, თბ., 2016, გვ. 10.

### 3.8 გამოძიების წარმოება

სსსკ-ის თანახმად, გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეჯიბრებითმა პროცესმა გამოძიების უფლებით აღჭურვა დაცვის მხარეც, რომელსაც წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი. გამომძიებელი ვალდებულია დაადგინოს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები და ამით უზრუნველყოს სასამართლოში საქმის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა.<sup>54</sup>

ქართველმა მკვლევარმა, ვლადიმერ მაჭარაშვილმა ნაშრომი მიუძღვნა საადვოკატო გამოძიებას. ადვოკატის მიერ გამოძიების წარმოება მნიშვნელოვანი გარანტიაა შეჯიბრებითობის პრინციპის განსახორციელებლად. მკვლევარის აზრით აუცილებელია კერძო დეტექტივის ან კერძო საგამომძიებო ორგანოს არსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა დაცვის მხარისთვის ეფექტურ გამოძიებას.<sup>55</sup>

ავტორის აზრით, ადვოკატის აღჭურვა სრული საგამომძიებო უფლებებით მიგვიყვანდა იმ შედეგებამდე, რომ ბრალდების მხარე შეაგროვებდა მხოლოდ ბრალდებულის გამამატყუნებელ მტკიცებულებებს, გამამართლებელს კი დამალავდა, ისევე როგორც დაცვის მხარე პირიქით, შეაგროვებდა გამამართლებელს და დამალავდა გამამატყუნებელს, რაც საბოლოოდ გამოიწვევდა პროცესის ისეთ მოდიფიკაციას, რომ სასამართლო ვედარ შეძლებდა ჭეშმარიტების დადგენას და მხარეები ორიენტირებული იქნებოდნენ უშუალოდ საქმის მოგებაზე.<sup>56</sup>

საადვოკატო გამოძიების წარმოება შეუძლებელი იქნებოდა შეჯიბრებითი პრინციპის გარეშე.

<sup>54</sup> სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) რ. გოგელიძის რედ. მეორე გამოცემა, გამ. "სამართალი" თბილისი 2009, გვ 208

<sup>55</sup> ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 0192, საქართველო, გვ. 16;

<sup>56</sup> იქვე, გვ. 23.

სსსკ-ის 111-ე მუხლის თანახმად, „დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას ატარებს.“ ხარჯებს აანაზღაურებს დაცვის მხარე. გამომძიებელი, ნებისმიერ შემთხვევაში არის ბრალდების მხარის წარმომადგენელი, რომელიც დაქვემდებარებულია პროკურორზე, რაც ეჭვს ბადებს მისი სანდოობისა და დამოუკიდებლობის თაობაზე. ამასთანავე, ამგვარი შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი დათვალიერების უფლება აქვს ბრალდების მხარეს. ნორმის აღნიშნული კონსტრუირება ბევრ დავას იწვევს.

თუ საგამოძიებო მოქმედება ტარდება დაცვის მხარის შუამდგომლობით, მისი პირველადი დათვალიერების უფლებაც უნდა მიეცეს დაცვის მხარეს. კანონმდებლის მიერ ნორმის ამგვარი დაშვება შეიძლება გავამართლოთ იმ მოტივით, რომ მან გამორიცხა მტკიცებულების შეცვლის ან და გაყალბების შესაძლებლობა, ვინაიდან მტკიცებულება საჭიროებს აღწერას, ეს აღწერა კი უნდა აწარმოოს იმან, ვინც მოიპოვა მტკიცებულება. თუმცა მტკიცებულების მომპოვებელი და საქმის გამოძიების მწარმოებელი გამომძიებლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

ფაქტი, რომ მტკიცებულებას მოიპოვებს გამომძიებელი, უკვე ნიშნავს იმას რომ ის აღწერს ამ ნივთს, და შესაბამისად ქარწყლდება ეჭვი მტკიცებულების გამოცვლის თაობაზე. მაშ რატომ ეძლევა ბრალდების მხარეს პირველადი გამოკვლევის უფლება? მითუმეტეს, აღნიშნული მტკიცებულება, რომელიც მოიპოვება დაცვის მხარის შუამდგომლობით, შეიძლება ატარებდეს ისეთ ხასიათს, რომ პირიქით, უარეს მდგომარეობაში აყენებდეს თვით ინიციატორ მხარეს, რატომ უნდა გახდეს ეს ინფორმაცია ცნობილი ბრალდების მხარისათვის? მტკიცებულების მოპოვება მხარის უფლებაა და მისივე გადასაწყვეტია რა მოცულობით გამოიყენებს მოპოვებულ მტკიცებულებას.<sup>57</sup>

---

<sup>57</sup> ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015, გვ 90

პრობლემის გადასაჭრელად, მიზანშეწონილია დაცვის მხარის შუამდგომლობით მიღებული მტკიცებულების პირველადი დათვალიერების უფლება მიენიჭოს თვით დაცვის მხარეს, იმ გარანტიებით რომ არ იქნება არანაირი ცვლილება მასში შეტანილი, ეს კი მიიღწევა გამომძიებლის მიერ ვიზუალური კონტროლით. ასევე, თუ დაცვის მხარე გადაწყვეტს, რომ მას არ სურს ამ მტკიცებულების გამოყენება, ვინაიდან ის აუარესებს მის უფლებრივ მდგომარეობას, მან საერთოდ უარი უნდა თქვას მასზე, გამომძიებელი კი უნდა დაავალდებულოს კანონმა, არ გასცეს ინფორმაცია აღნიშნული მტკიცებულების შესახებ, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ბრალდების მხარის გამომძიებლები კოლეგიალურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

სამომავლოდ შეიძლება გამოძიება დამოუკიდებლად მივიდეს იმ ეტაპამდე, რომ მოითხოვოს იგივე, რაზეც იშუამდგომლა დაცვის მხარემ, ამიტომ აღნიშნული მტკიცებულება არ უნდა განადგურდეს, არამედ შენახულ იქნეს და თუ ბრალდების მხარე მოითხოვს მას, გადაეცეს. თუმცა ეს მოთხოვნა ბრალდების მხარეს უნდა გაუჩნდეს გამოძიების მსვლელობის ეტაპზე და არა იმ მოტივით, რომ დაცვის მხარემ ეს გააკეთა.

სსსკ-ის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს სრულად და ყოველმხრივად. 2011 წლის ცვლილებების შემდეგ დაცვის მხარესაც მიენიჭა გამოძიების წარმოების უფლება, რომელსაც გარკვეული მოცულობით ისევ გამომძიებელი აწარმოებს. მტკიცებულებათა მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა, მხარეები თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, შესაბამისად ვერავინ აუკრძალავს მხარეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლით ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვებას.

ეს დებულება წინააღმდეგობაში მოდის გამომძიებლის ვალდებულებასთან. ნორმათა კოლიზიაა. ზოგადი და კონკრეტული. ამიტომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონკრეტულ ნორმას. გამომძიებლისას მიზანშეწონილია ადვოკატის სამართლებრივი დაცვა 365-ე მუხლის დისპოზიციაში მითითებით.

მკვლევარი ვიაჩესლავ გუსევსკი პრობლემის გადასაჭრელად საჭიროდ მიიჩნევს საგამომიებო სასამართლოების შექმნას<sup>58</sup>, რომლის ფუნქციებიც იქნება:

- საგამომიებო საქმიანობაზე კონტროლი, მტკიცებულებათა შეგროვება რომლებიც საკმარისი იქნება საქმის წარმოებისთვის ან მეორე შემთხვევაში, საქმისწარმოების შეწყვეტისთვის;
- თუ ადვოკატი ან დაცვის მხარე ვერ შეძლებს საჭირო მტკიცებულების გამოთხოვას ორგანიზაციიდან ან სხვა დაწესებულებიდან, სასამართლო საგამომიებო ორანომ უზრუნველყოს და დახმარება გაუწიოს დაცვის მხარეს.

უნდა შემუშავდეს ისეთი აპარატი, რომელიც დაცვის მხარის შუამდგომლობით დაყენებულ საგამომიებო მოქმედებებს დაავალებს არა გამომიებელს, რომელიც კოდექსის მიხედვით ბრალდების მხარეა, არამედ სასამართლოს დაქვემდებარებაში მყოფ ნეიტრალურ გამომიებელს.

### 3.9 ექსპერტის დასკვნა

ერთი შეხედვით, საკითხი ექსპერტის დასკვნის შესახებ სადაო არ არის, თუმცა თუ ჩავუღრმავდებით მას, ისევ მივალთ იქამდე, რომ დაცვის მხარის უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ირღვევა. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ინიციატორი დაცვის მხარეა, ხოლო ექსპერტის დასკვნა საზიანოა მისთვის, სსსკ-ის 146-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, მაინც რჩება ვალდებულება, თუკი არსებობს მოთხოვნა მტკიცებულებათა გაცვლის თაობაზე, მხარე ვალდებულია გადასცეს დასკვნა ბრალდების მხარეს.

ექსპერტის ცოდნისა და კვლევის გარეშე სისხლის სამართლის პროცესი წარმოუდგენელია, ვინაიდან, ხშირია შემთხვევა როცა მტკიცებულების

---

<sup>58</sup> Гусевский В.В., Принцип состязательности в досудебных стадиях уголовного процесса, Nauka-rastudent.ru. – 2017. – No. 01 (037).

გამოკვლევა საჭიროებს ისეთ ცოდნასა და უნარს, რომელიც თვით მხარეს არ გააჩნია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანამად „ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.“

მხარეები უფლებამოსილნი არიან საკუთარი შეხედულებისამებრ მოიწვიონ ექსპერტი, დანიშნონ ექსპერტიზა.

ადრე, ექსპერტის უფლებამოსილებას განსაზღვრავდა სახელმწიფო, სპეციალური ლიცენზიით. ამჟამად ექსპერტს ამგვარი ლიცენზია აღარ სჭირდება და მისი სტატუსი განისაზღვრება მხოლოდ გამოცდილებით, რომელსაც მოსამართლე აფასებს.<sup>59</sup>

ვ. მაჭარაშვილი აღნიშნავს სირთულეს, რომელსაც ადვოკატი ხვდება კერძო ექსპერტიზის დანიშვნის დროს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მოსამართლეები ნაკლებად ენდობიან კერძო ექსპერტებს, ვინაიდან ისინი დაინტერესებულნი არიან გასამრჯელოს მიღებით, ხოლო ამისათვის ცდილობენ აჩვენონ ისეთი დასკვნა თუ შედეგი, როგორსაც მოელის შემკვეთი მხარე.

სირთულეა სახელმწიფო ექსპერტისადმი მიმართვაც, ვინაიდან ასეთი ექსპერტი კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე ხშირად თვალს ხუჭავს ფაქტებზე.<sup>60</sup>

კანონით კერძო და სახელმწიფო ექსპერტების დასკვნები გათანაბრებულია ერთმანეთთან, თუმცა პრაქტიკაში ცალსახად უპირატესობა ენიჭება სახელმწიფო ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას.

---

<sup>59</sup> ვ. მაჭარაშვილი, საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ., 0192, საქართველო, გვ. 151;

<sup>60</sup> იხ. იქვე, გვ. 152.



არ შეიძლება არ შევეხოთ ექსპერტიზის ფინანსურ მხარეს. ბრალდების მხარეს, გამომძიებელს შეუძლია დანიშნოს უამრავი ექსპერტიზა, უმარვა საკითხზე, რომელის ხარჯებსაც სახელმწიფო ფარავს. საწინააღმდეგო სიტუაციაა დაცვის მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დროს, როცა ხარჯის ანაზღაურება პირადად მხარეს ევალება. ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა შიძლება გახდეს შეჯიბრებითი გამოძიების შემაფერხებელი გარემოება.

### **3.10 კერძო დეტექტივი, დადებითი და უარყოფითი მხარეები**

შეჯიბრებით პროცესზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენოთ კერძო დეტექტივის ინსტიტუტი.

აღნიშნული ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება უცხოეთში, სადაც დაცვის მხარეს შეუძლია მიმართოს კერძო დეტექტივს, რომელიც გამოიძიებს საქმეს სრულყოფილად. კერძო დეტექტივად ხშირ შემთხვევაში კი მუშაობენ ყოფილი პოლიციის მუშაკები, რომლებიც კარგად ფლობენ ოპერატიული საქმიანობის უნარ-ჩვევებს.

დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კერძო დეტექტივის ინსტიტუტს არ ითვალისწინებს.

კერძო დეტექტივის შესახებ აზრი ორად იყოფა. ნაწილი მას მიიჩნევს საჭიროდ და აუცილებლად, ვინაიდან მხოლოდ ადვოკატის უნარჩვევები საკმარისი არ არის. კერძო დეტექტივი უნდა იყოს პირი, რომელიც უკეთ ფლობს კრიმინალისტიკურ ცოდნას, ოპერატიულ უნარებს, ძიების სხვადასხვა მეთოდებს. კერძო დეტექტივი აღჭურვილი უნდა იყოს იმავე ეკიპირებით, რაც გააჩნია ბრალდების მხარის გამომძიებლებს, იქნება ეს იარაღი თუ სხვა.

ადვოკატები კი ხშირ შემთხვევაში არ ფლობენ მსგავს ეკიპირებას და ვერ ართმევენ თავს ოპერატიულ საქმიანობას.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, კერძო დეტექტივის ინსტიტუტის ლეგალიზაცია დაკავშირებულია უამრავ ნიუანსთან, დაწყებული იარაღის დატების ლიცენზიიდან, დასრულებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერებით. საგამოძიებო ორგანოს მუშაკი დაქვემდებარებულია სახელმწიფო კონტროლს. კერძო დეტექტივი არის კერძო პირი, მასზე კონტროლის დაწესება უკვე უკარგავს ინსტიტუტს აზრს, ვინაიდან ის კერძო ვეღარ იქნება, ამხელა ძალაუფლების კონტროლის გარეშე დატოვება კი წარმოშობს საფრთხეს ჩადენილ იქნას სხვა დანაშაულებრივი ქმედებები: უფლებამოსილების გადამეტება, უფლების ბოროტად გამოყენება, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა და ა.შ.

შეჯიბრებითი გამოძიების წარმოებისთვის მნიშვნელოვანი დაცვის მხარეს შეედლოს მიმართოს ისეთ ორგანოს, რომელიც ჩაატარებს ბრალდების მხარის თანაბარ საგამოძიებო მოქმედებებს, მითუმეტეს მაშინ, როცა საქართველოს კანონმდებელი ცალსახად უკრძალავს დაცვის მხარეს აწარმოოს ფარული საგამოძიებო მოქმედებები. აღნიშნულ საკითხზე ზემოთ ვისაუბრეთ, ამიტომ აქ ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

მიუხედავად უარყოფითი მხარებისა, შეჯიბრებითი პრინციპის განსახორციელებლად მიზანშეწონილია კერძო დეტექტივის არსებობა, თუმცა ეს უნდა მოხდეს სიფრთხილის დაცვით, მკაცრი რეგლამენტაციით რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობა და კანონების დარღვევა.

## დასკვნა

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეჯიბრებითი პროცესი საკმაოდ ვრცელი და სადაო საკითხია, რომელიც შესწავლილია ბევრი მეცნიერის მიერ და კვლავ საჭიროებს შესწავლას, ვინაიდან არის თემები, რომელიც ვერ პასუხობს პროცესის იდეას და მიზანს. ასეთების უმეტესობა კი ვლინდება გამოძიების სტადიაზე, სადაც დაცვისა და ბრალდების მხარეებს გააჩნიათ სხვადასხვა მოცულობის უფლებამოსილებები. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

- შეჯიბრებითობის პრინციპმა ისტორიულად ბევრი ცვლილება განიცადა, მოხდა მხარეთა უფლებების ეტაპობრივი გათანაბრება და შესაძლებელია, სამომავლოდ, კიდევ უფრო მეტად დაიხვეწოს;
- გამოძიების სტადიაზე ხდება პრინციპის მოქმედების შეფერხება;
- სასამართლო პრაქტიკა როგორც მოწმობს არის შემთხვევები, როცა სასამართლო ორგანო ვერ უზრუნველყოფს შეჯიბრებითი პროცესის დაცვას გამოძიების სტადიაზე;
- მოწმის გამოკითხვა/დაკითხვა, მტკიცებულების გაცვლა, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, ბრალდება, მტკიცებულების გამოთხოვა, ჩხრეკა, ამოღება, გამოძიება, ექსპერტის დასკვნა - ეს იმ საკითხების მოკლე ჩამონათვალია, რომელთა ანალიზისას ხდება შესაძლებელი საუბარი იმაზე, თუ რატომ არ ხდება შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა გამოძიების მსვლელობისას. საკითხების ფუნდამენტური კვლევა კი საშუალებას მოგვცემს ვისაუბროდ როგორ შეიძლება უთანასწორობის აღმოფხვრა.

ჩვენ მიერ ნაშრომში განხილულმა მოსაზრებებმა ნათელყო პრობლემის არსებობა. კვლევა ზედაპირულია და მოიცავს მხოლოდ ანალიზსა და რეკომენდაციებს, რომლებიც აუცილებელია კიდევ იქნეს შესწავლილი და განზოგადებული.

შეჯიბრებითი პროცესი დადებითი ინსტიტუტია მხოლოდ მაშინ, როცა მხარეები თანაბარ შესაძლებლობებს ფლობენ არა მხოლოდ უფლებრივად, არამედ სხვა დანარჩენ რესურსთან ერთად, იქნება ეს ფინანსები, განათლება, უნარები თუ ადამიანური რესურსი. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძლება მიღწეული იქნას მართლმსაჯულების ფუნქცია.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
  2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950;
  3. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966;
  4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;
  5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
  6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
  7. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, 2001;
  8. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018;
  9. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 20/07/2018, 090000000.05.001.019056
- 
1. ავტორთა კოლექტივი: ლ. ფაფიაშვილი, გ. თუმანიშვილი და სხვები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი 2015
  2. აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართული სამართლის ჟურნალი, N2, 2016;
  3. ბენიძე დ., შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012;
  4. გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ, თბ., 2013;
  5. გუცენკო კ.გ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007;

6. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება სასამართლოს მეშვეობით, 2014-15 წწ. სიფა, შეფასება და რეკომენდაციები, თბ., 2016;
7. ევროკავშირი - „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი, საქართველოში სისხლის სამართლის პროცესისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბ., 2015;
8. ვერძული ს., ხუციშვილი ე., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბ., 2012;
9. თავაძე ზ., შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლები სისხლის სამართლის საქმეებში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 22 თებერვალი, 2018,
10. კვაჭანტირაძე დ., წერეთელი კ., პაქსაძე ე., აბესაძე დ., ჩარგვიშვილი ა., კუჭუხიძე ი. და სხვები, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, თბ., 2015;
11. ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2015;
12. მამნიაშვილი მ., გახოვიძე ჯ., გაბისონია ი., სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2013;
13. მეურმიშვილი ბ., სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2015;
14. მაჭარაშვილი ვლ., საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2018
15. საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., თბ., 2015;
16. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), რ. გოგშელიძის რედაქტორობით, „სამართალი“, თბ., 2008;
17. სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები, სიფა, თბ., 2015;

18. ტალიაშვილი ა., ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი, ბაკმი, 2009;
19. პ. მონიავა, მ. მამნიაშვილი, ნ. რევაზიშვილი, ი. გაბისონია, თ. მონიავა, ნ. გელაშვილი, საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2015;
20. ჩაკვეტაძე გ., მოსამართლის როლი შეჯიბრებითობის პრინციპით აგებულ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2);
21. ჩერნილოვსკი ზ. მ., სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია (საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) მე-2 გამოცემა, ტომი პირველი, 2003;
22. ჯავახიშვილი ივ, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 7, თბ., 1984.

### უცხოენოვანი ლიტერატურა

1. David Seipp, 'The Distinction between Crime and Tort in the Early Common Law' (1996) Boston University Law Review
2. Frederick Pollock, 'The King's Peace in the Middle Ages' (1899) Harvard Law Review
3. John Langbein, The Origins of the Adversary Criminal Trial Oxford University Press, 2003
4. Marion E Brienen and Ernestine H Hoegen, Victims of Crime in 22 European Criminal Justice Systems, Wolf Legal Publishers
5. R A Duff et al, The Trial on Trial: Volume 3: Towards a Normative Theory of the Criminal Trial, Hart Publishing
6. The features of the modern adversarial criminal trial are discussed in more detail in The Role of Victims of Crime in the Criminal Trial Process Information Paper 1: History, Concepts and Theory (May 2015)
7. Tyrone Kirchengast, The Victim in Criminal Law and Justice (Palgrave MacMillan, 2006);

8. Gregory Durston, 'The Inquisitorial Ancestry of the Common Law Criminal Trial and the Consequences of its Transformation in the 18th Century' (1996) 5 Griffith Law Review
9. Values, Ideology, and the Evolution of the Adversary System, Ellen E. Sward, Indiana Law Journal, Spring 1989
10. Sanjeev Anand, 'The Origins, Early History and Evolution of the English Criminal Trial Jury' (2005) 43 Alberta Law Review
11. Yue Ma, 'Exploring the Origins of Public Prosecution' (2008) International Criminal Justice Review
12. Гусевский Вячеслав Валерьевич, Принцип состязательности в досудебных стадиях уголовного процесса, Nauka-rastudent.ru. – 2017. – No. 01

### სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება № 1/1/650,699 2017 წლის 27 იანვარი;
3. განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 22/04/2016, თბილისი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე გიორგი მიროტაძე;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
5. საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება № 1/1/650,699;



6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/809 2018 წლის 14 დეკემბერი ქ. ბათუმი, საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.